

"ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი"

A2



„გვახსოვს!"

A8



ტარკოვსკის რუბლიოვი და რუსულ-ქართული საუბრები

A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 25 ნოემბერი, 2005 წელი. №261 (1161)

ფასი 50 თეთრი

# რუსეთის მძლავრი ბერკეტი

მიხეილ ლანჩავა
სპეც. კორ.

ქართული საზოგადოება იმდენად გაერთო ძეგლებზე, "ენჯეოშნიკთა" მიერ ძალისმიერ სტრუქტურათა საწინააღმდეგოდ განხორციელებულ ოსტატურ "პი-არ" აქციებზე, ქალაქში "იდუმალი მკვლელის" არსებობაზე და სხვა ათას რამეზე მსჯელობით, რომ ფაქტობრივად ყურადღების მიღმა დარჩა ის დიდი და სავსებით რეალური (განსხვავებით ზურაბ წერეთლის მონუმენტისაგან) საშიშროება, რაც, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, საქართველოს სახელმწიფოს მომავალს სამკვდრო-სასიცოცხლო საფრთხის წინაშე აყენებს.

რასაკვირველია, დავით აღმაშენებლის ძეგლის დიდომში გადატანა უფრო საინტერესო და "საინტრიგო" ჩანს, ვიდრე ის უმძიმესი მოლაპარაკება, რასაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აწარმოებდა ყაზახეთში და ამჟამად აწარმოებს მოსკოვში. არადა, სინამდვილეში, იმასთან შედარებით, რაც ახალი წლიდან გველის, "ძეგლებზე დისკუსია" ფუფუნების სევდიან მოგონებად დაგვრჩება სულ მალე.

## კრემლის უკანასკნელი არგუმენტი

შეგახსენებთ საქმის ვითარებას: რუსეთის ისტებლიშმენტმა უკვე მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, რომ "ენერგეტიკული ბერკეტი" თავისი საგარეო პოლიტიკის (და "ახლო საზღვარგარეთში" ექსპანსიის) მძლავრ ბერკეტად აქციოს. ამ გადაწყვეტილებას ხელი შეუწყო (პირდაპირ თუ ვიტყვით) ევროპის ეგოიზმმა, რასაც ენერგომატარებლებზე მსოფლიო ფასების ზრდა, ერაყში გაუთავებელი ომი და რუსეთთან ამ სფეროებში თანამშრომლობის დაუოკებელი სურვილი (აუცილებლობაც) უდევს საფუძვლად.

იგივე რეალობა გამოიხატა გერმანიის ყოფილი კანცლერის სეპარატულ გადაწყვეტილებაში - ბალტიის ზღვის ფსკერზე დიდი გაზსადენის მშენებლობისა და პოსტსაბჭოური პატარა სახელმწიფოების რუსეთისათვის "შეტოვების" თაობაზე.

"გაზპრომის" მთავარმა მენეჯერმა, ალექსეი მილერმა უკვე მკაფიოდ განაცხადა, რომ ახალი წლიდან უკრაინა, საქართველო და მოლდოვა,

გაგრძელება A3 გვერდზე

# რამდენად შეუქცევადია ქვეყანაში დაწყებული ცვლილებები?

ეკა კვესიტაძე

"ჩვენი მთავარი გამოწვევაა, რომ შევინარჩუნოთ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის მაღალი ხარისხი" - ეს იყო ყველაზე მთავარი ფრაზა იმ მოხსენებაში, რომლითაც პრეზიდენტი ორი დღის წინ საერთაშორისო კონფერენციაზე გამოვიდა. თუმცა, სანამ ნდობის შენარჩუნებაზე ვისაუბრებთ, დღეს, რევოლუციის ორიწლისთავზე, ყველა ემოციაზე, პომპეზურობაზე, ზეიმებზე თუ ამაღლებულ გამოსვლებზე მნიშვნელოვანი არის კითხვა - შეძლო თუ არა ხელისუფლებამ ამ ინსტიტუტების აშენება?

როცა სააკაშვილი ნდობის შენარჩუნებაზე საუბრობდა, ბუნებრივია, გულისხმობდა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები უკვე აშენდა, საზოგადოების მაღალი ნდობა დაიმსახურა და ახლა მთავარი გამოწვევა ამ ნდობის შენარჩუნებაა.

რომელ ინსტიტუტებს გულისხმობდა პრეზიდენტი? - საილუსტრაციო მაგალითი, როგორც ყოველთვის, პოლიცია იყო.

ამ ორი წლის მანძილზე ხელისუფლების წარმატებების ჩამოთვლა საპატრულო პოლიციით იწყება. ჩამონათვალთა რიცხვში შედის განათლების სისტემის წარმატებული რეფორმა, ახალი გზები, შეღებილი ფასადები და, ბუნებრივია, აჭარის განთავისუფლებაც.

იმ ფონზე, როდესაც შევარდნაძის ხელისუფლების დროს თითქმის არაფერი კეთდებოდა და ქვეყანა სრული კატასტროფის წინაშე იდგა, ეს წარმატებები, ბუნებრივია, ხელშესახები და ძალზე მნიშვნელოვანია.

ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ რევოლუციის შემდეგ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ქმედითუნარიანია და უფრო ეფექტურად რეაგირებს ყოველდღიურ პრობლემებზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამბები

### ახალი მატარებელი ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმაატის მიმართულებით იმოძრავებს

ფოთი-ალმაატის საკონტეინერო მარშრუტის ამოქმედება და მისი პოპულარობა სამმხრივ შეხვედრაზე მიღწეული დაბალი ტარიფითაა განპირობებული. 5-6 დეკემბერს თბილისში შემდეგი სამუშაო შეხვედრა იგეგმება, რომელშიც ჩინეთისა და ბულგარეთის რკინიგზების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

A2

## სამართალი

### დაპირისპირებული მხარეები ერთობლივი ღონისძიებების გატარებაზე ფიქრობენ

აფხაზური მხარე, მართალია, ადასტურებს, რომ კონფლიქტის ზონაში კრიმინალური სიტუაცია უკიდურესად დამძიმდა, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს გალის ტერიტორიაზე აფხაზი ბოევიკების ყოფნის ფაქტს.

A5

## სამართალი

### სასამართლო მანდატურებს, შესაძლოა, იარაღის ტარების უფლება მიენიჭოთ

ცვლილებების პროექტს საპარლამენტო ოპოზიცია აპროტესტებს. როგორც ოპოზიციის წარმომადგენელმა თეიმურაზ ნერგაძემ განაცხადა, ცეცხლსასროლი იარაღის არსებობა დახურულ სივრცეში, სადაც დამნაშავეებთან ერთად სხვა პირებიც იმყოფებიან, არ შეიძლება.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

# წინანდალი „კონსერვდება"

საკითხავია, რამდენი ხნით

გიორგი ასანიშვილი

*განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტს გუშინ ორი მინისტრის მეხამრიდის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული: თუ საკომიტეტო მოსმენის დროს დეპუტატებს არ დააკმაყოფილებდა ირაკლი ჩოგოვაძისა და გოკა გაბაშვილის განმარტებები წინანდლის სამუზეუმო კომპლექსის 49-წლიანი იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, მაშინ ეკონომიკის განვითარების და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრებს სამთავრობო საათზე დაიბარებდნენ და უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე მოსთხოვდნენ პასუხს. თუმცა, მოვლენები ისე განვითარდა, რომ მინისტრებისთვის მეხამრიდად საპარლამენტო კომიტეტი კი არა, სულ სხვა სტრუქტურა - თბილისის საქალაქო სასამართლო იქცა.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*მინისტრებისთვის მეხამრიდად საპარლამენტო კომიტეტი კი არა, სულ სხვა სტრუქტურა - თბილისის საქალაქო სასამართლო იქცა.*

# მზადება მოსახლეობის მორიგი აღწერისთვის

*რა დაჯდება 2010 წლის საყოველთაო აღწერა?*

*საქართველოს მთავრობა მოსახლეობის მომდევნო აღწერისთვის ემზადება. თითქმის გადაწყვეტილია, რომ მორიგი აღწერა 2010 წლისთვის დაიწყება, შედეგები კი 2011 წელს გახდება ცნობილი. აღწერისთვის საჭირო თანხის ძირითად ნაწილს ბიუჯეტი, გარკვეულ ნაწილს კი, სავარაუდოდ, ისევ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები გაიღებენ.*

მარიამ ჭაჭავაძე

ორიოდე დღის წინ მთავრობის ბოლო სხდომაზე მინისტრთა კაბინეტმა პრეზიდენტის იმ ბრძანებულების კანონპროექტი განიხილა, რომელიც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოამზადა და რომელიც საქართველოს მოსახლეობის 2010 წლისთვის საყოველთაო აღწერას გულისხმობდა.

წინასწარი გათვლებით, აღწერის სრულფასოვანი ჩატარებისთვის დაახლოებით 12 მილიონი ლარია საჭირო. აქედან 7 მილიონი ლარი - ხელფასებისთვის.

რატომ მაინცდამაინც 2010 წელი? სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზაზა ბროლაძე "24 საათთან" საუბრის დროს განმარტავს, რომ საქართველო, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყანა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ერთად მსოფლიო მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერების 2010 წლის რაუნდში ერთვება.

გარდა ამისა, საქართველოს მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერის 2010 წელს ჩატარების წინადადებას საფუძვლად უდევს გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაცია - აღწერა ნულოვან ან ნულთან მიახლოებულ წელს ტარდებოდეს.

**"დღეს, როდესაც სულ უფრო მზარდი ტემპით მიმდინარეობს პრივატიზების პროცესი, არსებითად შეიცვალა მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა, გაჩნდა კერძო მეწარმე, დაქირავებული და დამქირავებელი, აღწერის მნიშვნელობა, როგორც მოსახლეობის შესახებ მონაცემების ძირითადი წყაროსი, არსებითია,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | 25/11 | 26 /11 |
|---|---|---|
| თბილისი | 12 | 13 |
| ტყიბული | 17 | 20 |
| გორი | 10 | 14 |
| ონი | 7 | 13 |
| ზუგდიდი | 20 | 22 |
| ახმეტა | 11 | 13 |
| გაგრა | 16 | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.1111 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.0880 |
| რუბლი | 0.0625 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ტენდერი | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# ჩინეთში დაწყებული ეკოლოგიური კატასტროფა რუსეთში გაგრძელდება

ნანა ნასყიდაშვილი

*ჩინეთის ერთ-ერთ ქიმიურ ქარხანაში მომხდარი აფეთქების შედეგად, ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერება ბენზოლის დიდი რაოდენობა მდინარე სუნგარის შეერია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ჰარბინში წყლის გადაკეტვისა და ხელისუფლების მხრიდან არასწორი ინფორმაციის გავრცელების გამო, მოქალაქეები პანიკამ მოიცვა. საგულისხმოა, რომ დაბინძურებული წყლის ნაკადი რამდენიმე დღეში რუსეთამდე ჩააღწევს და სოფელ ლენინსკოესთან მდინარე ამურს შეერევა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*სასმელი წყლის დეფიციტთან დაკავშირებით დაწყებულმა კრიზისმა, ბოთლებში ჩამოსხმულ წყალზე ფასების ზრდა განაპირობა.*

# საპყრობილეში პატიმარი მოკლეს

## სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა კი რეფორმებზე საუბრობს

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N1 საპყრობილეში კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა. გუშინ, დაახლოებით 18 საათზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N1 საპყრობილის სარდაფში, სადაც ადრე აბანო იყო, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მსჯავრდებულის - 27 წლის პაატა მამულიას გვამი აღმოაჩინეს. ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეს ყაჩაღობის, მანქანის გატაცებისა და მკვლელობის მცდელობისათვის გასამართლებული, 29 წლის მათე ხოსიტაშვილი. მკვლელობაში ეჭვმიტანილი პატიმრის ჩვენების მიხედვით, ინციდენტი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. მათე ხოსიტაშვილმა პაატა მამულიას თავში რკინის საგანი ჩაარტყა.

როგორც იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახური ირწმუნება, მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას და პროკურატურას. საქმეს ამჟამად იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. არაოფიციალურად იმასაც ამბობენ, რომ პაატა მამულიას ყელზე თოკი ჰქონდა შემოხვეული - ამით მკვლელს თვითმკვლელობის იმიტაციის შექმნა სურდა.

აღნიშნული ფაქტის გამო, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულების მონიტორინგის საბჭო იუსტიციის მინისტრს კოტე კემულარიას და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსს შოთა კოპაძეს კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა და მათი თანამდებობრივი პასუხისმგებლობის შესახებ მორიგი განცხადება გააკეთა.

თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი და მონიტორინგის საბჭოს წევრი თეა თუთბერიძე N1 საპყრობილის აბანოში მომხდარ მკვლელობაში პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელობას და ციხის ადმინისტრაციას ადანაშაულებს და მკვლელობას "მოწყობილს" უწოდებს.

გაგრძელება A5 გვერდზე




წარმატების მიღწევა პოსტსაბჭოური სივრცისათვის ახალი პრინციპების გამოყენების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ეს ეხება არა მარტო წარმოებაში დანერგილ სიახლეებს, არამედ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აგებულ მენეჯმენტსაც. 1997 წელს კომპანიამ საქართველოში მოიწვია ფრანგი მენეჯერი - ჟაკ ფლერი. მას კრიზისული ეკონომიკის პირობებში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა კომპანიის ფინანსური საქმიანობის სწორად წარმართვას. ამ საკითხში დიდი როლი ითამაშა კომპანიის


დიდი თავადი ნიკოლოზ მიხეილის ძე ბორჯომში - 1912 წ.

ფინანსურ მენეჯერად ჰოლანდიელი სპეციალისტის - რუუდ ვან ჰილის მოწვევამ. მამუკა ხაზარაძეს ქართულ კომპანიაში უცხოელი სპეციალისტები ჩამოყავდა, რითაც რამდენიმე მიზნის მიღწევას ახერხებდა. ერთის მხრივ, გამოცდილმა ევროპელმა სპეციალისტებმა თავიდანვე ზუსტად შეძლეს პერსპექტივების და მუშაობის მიმართულების სწორი განსაზღვრა. მეორეს მხრივ, გამოცდილი უცხოელი მენეჯერების გვერდით, იზრდებოდა და გამოცდილებას იძენდა ქართველი მენეჯერების ახალი თაობა. **"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია"** თავიდანვე იწყებდა საქმიანობას მოწინავე საერთაშორისო მენეჯმენტის გამოყენებით, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა დიდი წარმატებების მიღწევა.

კომპანიის სწორ მენეჯმენტს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტში იკითხება ლექცია ბორჯომის შესახებ. სტუდენტებს არა მხოლოდ საქართველოსა და ბორჯომის ისტორიას აცნობენ, არამედ კონკრეტულად ესაუბრებიან GG&MW Co N.V.-ს, წარმატებულ ბიზნეს სუბიექტად ჩამოყალიბება-განვითარებაზე და იმ პირებზე, ვინც ეს კომპანია შექმნა, ასევე მათზე, ვინც თანამედროვე მინერალური და სასმელი ბუტილირებული წყლების მსოფლიო ბაზარზე ამინდს ქმნის. ლექცია, ანუ იგივე - ჰარვარდის კეისი - საუბრობს ყველა იმ დეტალზე, რომელიც GG&MW Co N.V.-ს, ქართველ თუ უცხოელ ინვესტორსა და პარტნიორს გადახდა კომპანიის ფორმირების პროცესში.



"ბორჯომის" სარეკლამო პოსტერი - 1936 წ.

განსაკუთრებით ხაზგასმულია ის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც ინვესტორებმა შეძლეს პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი კორუფციისა და კრიმინალური გავლენის დაძლევა, თანამედროვე საბაზრო პრინციპებზე მომუშავე კომპანიის ჩამოყალიბება და საერთაშორისო ბაზარზე თვალსაჩინო ადგილის დამკვიდრება.

საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია თავისი პროდუქციის ექსპორტს მსოფლიოს 28 ქვეყანაში აწარმოებს.

GG&MW სხვადასხვა მოცულობის მქონე მინის და პლასტმასის ბოთლებში შემდეგი სახის პროდუქციას უშვებს: "ბორჯომი კლასიკური", "ბორჯომი მსუბუქი", "ოქროს ბორჯომი", "ბორჯომის წყაროები", "ბაკურიანი".

2004 წლის შემოდგომაზე, GG&MW-მ შემოიერთა ორი უმსხვილესი უკრაინული მინერალური წყლის მწარმოებელი კომპანია: IDS, რომელიც აწარმოებს ცნობილ მინერალურ წყალს "მირგოროდსკაია" და მინერალური წყლის მწარმოებელი ქარხანა "ოსკარი", რომელიც აწარმოებს მინერალურ წყალს "მორშინსკაია". ამ გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა პოსტსაბჭოურ სივრცეში ერთ-ერთი მინერალური და სუფრის წყლის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ჰოლდინგი GG&MW / IDS. ჰოლდინგს თავისი პროდუქცია ყველა ფასობრივ სეგმენტში აქვს წარმოდგენილი. ამასთანავე, "ბორჯომი კლასიკური" საერთაშორისო ბაზარზე ყველაზე ძვირ, პრემიუმ სეგმენტშია წარმოდგენილი.

GG&MW - გახდა საქართველოში ერთ-ერთი პირველი გამჭვირვალე კომპანია. დაწყებული 1997 წლიდან, მისი საბუღალტრო საქმიანობა წარმოებს საერთაშორისო სტანდარტებით, 1999 წლიდან მოყოლებული კი, დასკვნას მისი საქმიანობის შესახებ აკეთებს საერთაშორისო აუდიტორული კომპანია Deloitte&Touche.

GG&MW - ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მსხვილი გადამხდელია.


# წინანდალი „კონსერვდება“



მიუხედავად იმისა, რომ სხდომა აკადემიურად დამთავრდა, მწვავე დაპირისპირებას მაინც ვერ ასცდა.

პირველი გვერდიდან

ზემოთ აღნიშნული საკითხისადმი საზოგადოების დიდი ინტერესის გათვალისწინებით, ადვილი სავარაუდო იყო, რომ საკომიტეტო მოსმენა ხმაურიანი განცხადებების გარეშე არ ჩაივლიდა. მართლაც, სხდომის დაწყებისთანავე ოპოზიციონერმა დეპუტატებმა მთავრობის წევრებზე იერიში მიიტანეს. მათ საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენელიც შეუერთდა. კერძოდ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ ხიდეშელმა "მემარჯვენეებსა" და "დემოკრატიული ფრონტის" წევრებს ტოლი არაფერში დაუდო. **"ვინც ყველაზე ხმამაღლა გაჰკიოდა, წინანდლის გაყიდვა არ შეიძლებაო, ახლა პირველი თავად ითხოვს ამის გაკეთებას,"** - თანაგუნდელები არ დაინდო თელავის მაჟორიტარმა დეპუტატმა. იგი მას შემდეგ გაცხარდა, როდესაც ირაკლი ჩოგოვაძემ სინანულით აღნიშნა, რომ წინა წლებში წინანდლის ენოთეკიდან დიდი რაოდენობით ღვინო იკარგებოდა. მართალია, თავად ამ ფაქტზე ხიდეშელს რეაგირება არ მოუხდენია, მაგრამ რამდენჯერმე გაუსვა ხაზი იმას, რომ ამ პერიოდში ღვინის სარდაფი სწორედ მას ექვემდებარებოდა.

გაცილებით "მრავალფეროვანი" იყო ოპოზიციონერ დეპუტატთა ბრალდებები. **"რამდენიმე წლის შემდეგ წინანდლის სახლ-მუზეუმი, შეიძლება, რანჩოდ გადაიქცეს"; "იმ ჯგუფის უკან, ვის ხელშიც წინანდალი გადადის, დგას კრიმინალური ელემენტი, სახელად "ზარალა";** - ამ და სხვა ბრალდებებმა ეკონომიკური განვითარების მინისტრი მოთმინებიდან გამოიყვანა და ირაკლი ჩოგოვაძე... ლევან ბერძენიშვილს დაეტაკა.

**"ჩემთვის ძალიან საწყენია, რომ გურამ შარაძე და თქვენ, ჩემი მასწავლებელი, ერთ პოზიციაზე დგახართ,"** - მიმართა მან "რესპუბლიკელ" დეპუტატს. ლევან ბერძენიშვილი, ცხადია, ვალში არ დარჩენილა: **"ბაბუაშენი გაიხსენე და შარაძის მეგობრები შენს ოჯახში მოიკითხე... შენნაირი უნიჭო მოსწავლე ბევრი მყოლია."**

სიტუაცია შედარებით მას შემდეგ განიმუხტა, როდესაც საპარლამენტო ტრიბუნასთან ირაკლი ჩოგოვაძის ადგილი გოკა გაბაშვილმა დაიკავა. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა დეპუტატებს წინანდლის სახლ-მუზეუმის იჯარით გაცემის ხელშეკრულების პროექტი გააცნო და პარლამენტარებიც... უმალ დამშვიდდნენ. **"დღეს ორ მინისტრს მოვუსმინე და დავასკვენი, რომ ერთი შეიძლება იყოს ამ თანამდებობაზე, მეორე კი - არავითარ შემთხვევაში,"** - ასეთი დასკვნა ლევან ბერძენიშვილს, ალბათ, თავადაც ხვდებით, რომ თავისი ყოფილი მოსწავლის სასარგებლოდ არ გამოუტანია.

ის ამბავი, რომ ხმაურით დაწყებული საკომიტეტო მოსმენა "აკადემიურად" დასრულდა, ერთმა გარემოებამ უფრო განაპირობა: დეპუტატ ზვიად ძიძიგურის თქმით, იმ დროს, როდესაც პარლამენტში საკითხი იხილებოდა, თბილისის საქალაქო სასამართლომ შეაჩერა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილება წინანდლის სახლ-მუზეუმის იჯარით გაცემის თაობაზე. ოპოზიციამ ჩათვალა, რომ მიზანი უკვე მიღწეულია და სამთავრობო საათზე მინისტრების დაბარებას აზრი აღარ აქვს.

ერთი სიტყვით, წინანდლის თემა დღის წესრიგიდან მოიხსნა, თუმცა - მხოლოდ დროებით - მანამდე, ვიდრე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების რევიზიის მსურველები გამოჩნდებიან. ეს დრო კი, ეჭვგარეშეა, ძალიან მალე დადგება.

# მზადება მოსახლეობის მორიგი აღწერისთვის

პირველი გვერდიდან

სიახლეა ახალ აღწერაში – ეს მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის რეესტრს გულისხმობს. სხვათა შორის, მოსახლეობის საცხოვრებლის ანუ ყველა იმ შენობანაგებობის აღწერა, სადაც მოსახლეობა ცხოვრობს, პირველად ტარდება არა მარტო საქართველოში, არამედ დსთ-ს სივრცეში. **"მიღებული მონაცემები საცხოვრისების შესახებ საშუალებას მოგვცემს შევქმნათ საბინაო ფონდის ერთიანი ბაზა, დადგინდება მოსახლეობის საბინაო პირობები და განისაზღვრება ბოლო ათწლეულში საბინაო მშენებლობის მოცულობა,"** - აღნიშნა ზაზა ბროლაძემ.

თუმცა 2010 წლამდე, ანუ მოსახლეობის უშუალო აღწერის პროცესის დაწყებამდე, ქვეყნის ხელისუფლებას მომდევნო ხუთ წელიწადში სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება მოუწევს. უფრო კონკრეტულად კი, ეს შემდეგს გულისხმობს: 2005-2006 წლებში, ძირითადად, მოხდება დაგეგმვა, 2006-2009 წლები მოსამზადებელ სამუშაოებს დაეთმობა, 2010 წელს დაიწყება მონაცემთა შეგროვება, ხოლო 2011 წელს მონაცემთა დამუშავება-გავრცელება მოხდება.

ზაზა ბროლაძე ამბობს, რომ მომავალი საყოველთაო აღწერის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია მონაცემთა შეგროვების ახალი მეთოდის შემუშავება, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა და მასალის დამუშავების თანამედროვე სისტემების გამოყენება. **"ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს, მაღალორგანიზებულად ჩავატაროთ მოსახლეობისა და საცხოვრისების მომდევნო აღწერა და განვითარებული ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების მიერ ჩატარებულ აღწერებსა და კვლევებში გამოყენებულ სტანდარტულ IT ტექნოლოგიებს მივუახლოვდეთ,"** - გვითხრა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

პრეზიდენტის ხსენებულ დადგენილებაში მითითებულია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის კონკრეტული თარიღი - 2010 წლის 21-28 იანვარი, რაც ზრდის მიღებული ინფორმაციის წინა აღწერების შესაბამის თარიღებთან შესადარისობის ხარისხს. იანვრის ბოლოს მოსახლეობის აღწერა, ზაზა ბროლაძის განმარტებით, განპირობებულია კიდევ რამდენიმე ფაქტორით: **"ზამთრის პერიოდში მოსახლეობა ნაკლებად მოძრავია; სკოლებში არდადეგები დამთავრებულია და უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობაში მიმდინარეობს ზამთრის სესიები; შერჩეულია კვირის შუადღე - ოთხშაბათი, როცა მოსახლეობა კვირის სხვა დღეებთან შედარებით ნაკლებად მოძრავია."**

შეგახსენებთ, რომ საქართველოში მოსახლეობის უკანასკნელი საყოველთაო აღწერა 2002 წელს ჩატარდა. მაშინდელი მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 4 მილიონ 500 ათასს აღწევდა, საიდანაც 1 მილიონ 500 ათასი დედაქალაქში ცხოვრობდა.

2002 წლის საყოველთაო აღწერა, ბიუჯეტთან ერთად, დონორი ორგანიზაციების დახმარებით ჩატარდა. მაშინ ერთ ადამიანზე საშუალოდ 95 ცენტი დაიხარჯა, სულ - 8 მილიონი ლარი.

# კანონპროექტი დეპოზიტების დაზღვევის სისტემაზე

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ ეროვნულ ბანკში შეკრებილ ბანკირებს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ შემუშავებული კანონპროექტი გააცნო. რომან გოცირიძემ ბანკირებს გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკის, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული კანონპროექტის დეტალების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ჟურნალისტებს შეხვედრის დაწყებამდე განუცხადა, მთავრობამ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნაში მონაწილეობის მიღებაზე უარი თქვა და გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკიდან 3,5 მლნ. ევროს ოდენობის სესხის აღებაზეც უარი განაცხადა.

**"მთავრობას სურს, დეპოზიტების დაზღვევის სისტემისთვის საჭირო ფონდი ბანკებმა დააფინანსონ. ბანკებისთვის ეს შესაძლოა, მძიმე ტვირთი იყოს, ამიტომ მათ ამის შესახებ აზრი უნდა ვკითხოთ,"** - განაცხადა გოცირიძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ მთავრობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაფიქრდება და საკუთარი მოქალაქეების ანაბრების დაცვის უზრუნველყოფაზე უარს არ იტყვის. საქართველოს მთავრობას 3,5 მლნ. ევროს მოცულობის სესხი გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკიდან უნდა მიეღო, რომლითაც საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემა უნდა ჩამოყალიბებულიყო. გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკი, სესხთან ერთად, საქართველოს ნახევარი მილიონი ევროს მოცულობის გრანტს აძლევდა, თუმცა საქართველოს მთავრობამ დამატებითი ვალდებულებების აღებისგან თავი შეიკავა და სესხის აღებაზეც უარი თქვა. **ინტერპრესნიუსი**

# "ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი"

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი "ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი" გაიხსნა, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ორი ათას წლისთავს მიეძღვნა. სიმპოზიუმი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით გაიმართა. იგი სამ დღეს გაგრძელდება. საქართველოს საპატრიარქოსა და ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით მოწყობილ სიმპოზიუმზე საქართველოს სხვადასხვა ეპარქიის წინამძღვრები, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სულიერი ლიდერები არიან მოწვეულნი. მომხსენებელთა თემატიკა მრავალფეროვანია და საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 20-საუკუნოვან ისტორიას მოიცავს.



სიმპოზიუმის გახსნამდე უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს მისიონერული გზების მონაწილეებმა ხატები და საეკლესიო დროშები შემოაბრძანეს. ამ გზაზე მსვლელობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ექვსი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. **"აქ წარმოდგენილი ფასეულობები კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ცოცხალია ჩვენში ის სულიერი ფასეულობა, რომელიც ჩვენ წინაპრებისგან გვერგო. საერთაშორისო სიმპოზიუმი ხელს შეუწყობს იმას, რომ სწორად იქნას გაგებული ის პროცესები, რაც მსოფლიოში ვითარდება,"** - განაცხადა კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

სიმპოზიუმის გახსნაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა რუსუდან ლორთქიფანიძემ, აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა და საქართველოში მოწვეულმა უცხოელმა სტუმრებმა.

საერთაშორისო სიმპოზიუმი 26 ნოემბრამდე გაგრძელდება და მასში მონაწილეობას მიიღებს 202 მომხსენებელი, რომელთაგან 37 უცხოელია.

*24 საათი*

## მოკლედ

### მარეგულირებელი ეროვნული კომისიების საკითხის განხილვა საგაზაფხულო სესიისთვის გადაიდო

მარეგულირებელი ეროვნული კომისიების საკითხთან დაკავშირებით პარლამენტსა და მთავრობას შორის პოლიტიკური შეთანხმება მიღწეული არ არის, ამიტომ აღნიშნული საკითხის განხილვა საგაზაფხულო სესიისთვის გადაიდო. ამის შესახებ გუშინ, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა.

საქმე ეხება ეროვნული მარეგულირებელი კომისიების შესახებ მომზადებულ ორ კანონპროექტს, რომელიც მათ შემდგომ ფუნქციონირებას ეხება. აღნიშნული ორი კანონპროექტიდან ერთი პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტშია მომზადებული, მეორე - სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის აპარატში.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში აცხადებენ, რომ აღნიშნული ორი კანონპროექტი ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავდება, ამიტომ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შემდგომ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით მთავრობასა და პარლამენტს შორის კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა.

კახა ბენდუქიძის აპარატის მიერ შემუშავებული ეროვნული კომისიების დაფინანსების მექანიზმები იცვლება, კერძოდ, კომისიები სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდნენ. შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარის ხელფასიც კვოტირებული უნდა იყოს. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში მომზადებული კანონპროექტი კი ამგვარ ძირეულ ცვლილებებს არ ითვალისწინებს და მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის შენარჩუნებას მოიაზრებს. **ინტერპრესნიუსი**

### ახალი მატარებელი ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმაატის მიმართულებით იმოძრავებს

ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმაატის მიმართულებით ახალი დემონსტრაციული საკონტეინერო მატარებლი იმოძრავებს. თბილისში ნოემბრის თვეში გამართულ რკინიგზის ტრანსპორტის ექსპერტთა სამმხრივ (ყაზახეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) შეხვედრაზე მხარეებმა საკონტეინერო მატარებლის მოძრაობის გრაფიკი შეიმუშავეს. განისაზღვრა მარშრუტზე ტვირთის მოზიდვის პერსპექტივები.

ფოთი-ალმაატის საკონტეინერო მარშრუტის ამოქმედება და მისი პოპულარობა სამმხრივ შეხვედრაზე მიღწეული დაბალი ტარიფითაა განპირობებული. 5-6 დეკემბერს თბილისში შემდეგი სამუშაო შეხვედრა იგეგმება, რომელშიც ჩინეთისა და ბულგარეთის რკინიგზების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმაატის მარშრუტის ამოქმედების პროექტში ჩინეთისა და ბულგარეთის მხარეების ჩართვა ხელს შეუწყობს რპაუვკა-ს კორიდორის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და რეგულარული სარკინიგზო-საბორნე გადაზიდვების წარმოებას, - აცხადებენ შპს "საქართველოს რკინიგზაში".

ახალი საკონტეინერო მატარებლის პროექტით დაინტერესება უკვე გამოთქვეს მსხვილმა ექსპედიტორებმა, რაც სხვადასხვა სახეობის ტვირთის მოზიდვასა და პროექტის შემდგომ გაფართოებას განაპირობებს. **მედიანიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დეკემბრის დასაწყისში თბილისი-ბათუმის მიმართულებით მოძრავი საფირმო მატარებლის მგზავრობის ფასი 30 პროცენტით შემცირდება. შპს "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, საფირმო მატარებლის მგზავრობის ფასი სეზონური ტარიფების ფასდაკლების მიხედვით შეიცვალა. უახლოეს მომავალში კი, საქართველოს რკინიგზაზე კიდევ ერთი ახალი შემადგენლობა იმოძრავებს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ახალი მატარებლის შეძენის თაობაზე. შემადგენლობა იმ მიმართულებით იმოძრავებს, სადაც მეტი მოთხოვნილება იქნება. გარდა ამისა, იგეგმება დღის საგარეუბნო-ელექტრომატარებლების დამატება, რომელმაც შესაძლოა, ღამის მატარებლები შეცვალოს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში გუშინ, რადიაციულ ნივთიერებათა აღმომჩენი აპარატურის პრეზენტაცია გაიმართა. საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიკროავტობუსში დამალული რადიაქტიური ნივთიერების აღმოჩენის პროცესის ჩვენება მოაწყვეს, რომელიც წარმატებით განხორციელდა.

საქართველოს ტერიტორიაზე რადიაქტიურ ნივთიერებათა შემოტანის აღკვეთის მიზნით ყველა საბაჟო გამშვებ პუნქტს რადიაციულ ნივთიერებათა აღმომჩენი აპარატურა გადაეცემა. ასევე, ყველა საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლებს თან ექნებათ "პეიჯერი", რომელიც რადიაციულ ნივთიერებათა არსებობას საბაჟოს თანამშრომელს ოპერატიულად, ხმამაღალი სიგნალის საშუალებით ატყობინებს, რის შედეგადაც ხდება რადიაქტიურ ნივთიერებათა სახეობისა და ადგილმდებარეობის დადგენა. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# რუსეთის მძლავრი ბერკეტი

პირველი გვერდიდან

რომლებიც რუსეთისადმი "არალოიალურ" პოლიტიკას ატარებენ, გაზს მხოლოდ და მხოლოდ "მსოფლიო ფასებით" მიიღებენ. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ბუნებრივი აირის, როგორც საბაზრო პროდუქტის, ტრანსპორტირების თავისებურებებიდან გამომდინარე, ნავთობისაგან განსხვავებით, გაზზე არავითარი "მსოფლიო ფასები" არ არსებობს. მაგალითად, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე ყოველდღიურად იმართება ვაჭრობა ნავთობის "ფიუჩერსულ" კონტრაქტებზე. ოდესმე სადმე თუ გაგიგიათ ამგვარი ვაჭრობა და ფასების რყევა გაზზე?

ამის შემდეგ, პუტინი თავის "მარჯვენა ხელს", გაზპრომის ფაქტობრივ ხელმძღვანელს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, მედვედევს ნიშნავს ვიცე-პრემიერად და თავის არაოფიციალურ თუ ოფიციალურ მემკვიდრედ, რითიც ადასტურებს, რომ იწყება მეზობელი ქვეყნის "მოხრჩობის" გრძელვადიანი პოლიტიკის განხორციელება.

მილერის განცხადებით, ახალი წლიდან უკრაინა ბუნებრივ აირს მიიღებს 160 დოლარად ათასი კუბური მეტრისათვის (ამჟამინდელი 60 დოლარის ნაცვლად), რაც ამ ქვეყნისთვის სრული კოლაფსი და კატასტროფა იქნება!

საქართველო კი - 110 დოლარად. მეზობელი სომხეთი - ბევრად უფრო იაფად, რაკი რუსეთს იგი თავის სტრატეგიულ მოკავშირედ მიაჩნია და ამ ქვეყანაში სტაბილურობას უფრთხილდება.

## პრემიერ-მინისტრი საფრთხეებს აფასებს

ბუნებრივია, ამ გეგმის შესახებ ჯერ კიდევ წლის დასაწყისში გახდა ცნობილი და ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა კიდეც, რომ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

რას ნიშნავს ბუნებრივი აირის საფასურის 110 დოლარამდე გაზრდა? ზურაბ ნოღაიდელის შეფასებით, რუსეთმა გაზის საფასური 100 პროცენტითაც რომ გაზარდოს, "კომუნალური ფასები" ამით არ შეიცვლება, ვინაიდან საქართველოს მოსახლეობა უკვე 7 წელია, ბუნებრივ აირში სავსებით ევროპულ ფასს იხდის - 1000 კუბურ მეტრზე დაახლოებით 145-150 დოლარს. გაამრავლეთ თქვენს მიერ ყოველთვიურად 1 კუბური მეტრისათვის გადახდილი თანხა ათასზე და ამაში თავად დარწმუნდებით.

თითქოსდა, თუ ასეა, რაში მდგომარეობს საშიშროება - მოსახლეობისათვის ფასი ხომ არ იზრდება ან ძალზე უმნიშვნელოდ გაიზრდება?

ზურაბ ნოღაიდელმა ეს საფრთხე ზუსტად აღწერა: განსხვავებით მოსახლეობისაგან, რომელსაც, გაზის მისაღებად შუამავალი და დისტრიბუტორი ესაჭიროება, საქართველოს მრეწველობა და, ზოგადად, წარმოება გაზს მართლაც 60 დოლარად იღებდა. ამ ფასის ერთბაშად თითქმის 100 პროცენტით ზრდა გამოიწვევს იმას, რომ გაძვირდება და არაკონკურენტუნარიანი გახდება საქართველოში წარმოებული პროდუქცია, აუცილებლად გაძვირდება ელექტროენერგია, პური, სხვა პირველი მოხმარების საქონელი.

"კონკურენტუნარიანობას" რაც შეეხება, ამის საილუსტრაციოდ მარტივი მაგალითის მოყვანაც კმარა: თუ ვთქვათ, საქართველოში არსებულ პურის, ცემენტის ან შაქრის ქარხანა პროდუქციას აწარმოებს ბუნებრივი აირის მეშვეობით, რომელსაც 110 დოლარად იყიდის, ხოლო სომხეთის ანალოგიური საწარმოები ბუნებრივ აირს 60-70 დოლარად მიიღებენ, - ბუნებრივია, ისინი იმთავითვე უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. შესაბამისად, დაიხურება საწარმოები, ადამიანები დაკარგავენ სამუშაო ადგილებს, იმატებს სოციალური დაძაბულობა, გაიზრდება იაფი, კონტრაბანდული საქონლის შემოდინება, შესაბამისად სულ უფრო გაჭირდება მასთან ბრძოლა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, სადაც ეს ძალისხმევა სხვა (ეთნიკურ) ელფერს შეიძენს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

სწორედ ეს არის ამ შემთხვევაში რუსეთის მიზანი: შეუქმნას საქართველოს სირთულეები, არ მისცეს ქვეყანას განვითარების, პრობლემათა გადაწყვეტის საშუალება.

ბუნებრივია, თავს ვერ დავიმშვიდებთ იმით, რომ შედეგი უკრაინისთვის კიდევ უფრო კატასტროფული იქნება, ვინაიდან, ჩვენგან განსხვავებით იქ მოსახლეობაც 48 დოლარს იხდის ბუნებრივ აირში ანუ მათთვის გაძვირება იგივეა, თითოეულმა ჩვენგანმა 1 კუბურ მეტრ აირში ერთბაშად, 2006 წლიდან, 1 ლარი რომ ვიხადოთ.

რა თქმა უნდა, უკრაინასაც და საქართველოსაც იმის იმედი გვაქვს, რომ რუსეთს სჭირდება სატრანზიტო მაგისტრალები. ანუ სჭირდება გაზის ექსპორტი ევროპაში (უკრაინის გავლით) და სომხეთში (საქართველოს გავლით), მაგრამ ეს ფაქტორი მხოლოდ დროებით თუ შეასრულებს "მაშველი რგოლის" როლს.

ჩვენი მეზობლები ტყუილად კი არ აშენებდნენ მიწისქვეშა საცავებს. გარდა ამისა, მათ სულ მალე ექნებათ საშუალება, მიიღონ ბუნებრივი აირი ირანიდან.

გარდა ამისა, ტრანზიტის საფასურად რუსეთი უეჭველად შემოგვთავაზებს იმდენ აირს (ძველ ფასად), რაც მხოლოდ თბილსრესის ამოქმედებისთვის, ანუ ელექტროენერგიის არგაძვირებისა და, სამაგიეროდ, ქვეყნის სრული სტაგნაციისათვის იქნება საკმარისი.

აქ მოსკოვის გათვლა ისაა, რომ თბილისი "ნაკლებ ბოროტებას" აირჩევს – სტრატეგიულად იმავე შედეგით.

რაც შეეხება უკრაინას, თუ იგი რუსული გაზის წართმევას დაიწყებს, რუსეთი უბრალოდ შეწყვეტს ტრანზიტს, რასაც ევროპა უკვე უკრაინას არ მოუწონებს, ვინაიდან ენერგომატარებლებზე გაზრდილი ფასების პირობებში რუსული გაზის მიწოდების შეწყვეტა დასავლეთ ევროპაში საჭიროების მესამედამდე დეფიციტს შექმნის.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, ამას რა მოჰყვება ისედაც საკმაოდ მყიფე ეკონომიკური ვითარებისათვის ევროპაში.

კრემლი ამ შემთხვევაში ფორმალური ლოგიკით ოპერირებს. ალექსეი მილერის თქმით, განმსაზღვრელია ფასი გერმანიაში. გერმანიის საზღვარზე ეს ფასი უდრის 220 დოლარს, ხოლო ცალკეული მომხმარებლებისათვის - კიდევ უფრო მეტს.

რაკი უკრაინა რუსეთთან უფრო ახლოსაა, მისთვის ფასი 160 დოლარით განსაზღვრეს, ხოლო საქართველოსათვის (ისევ და ისევ მანძილის გამოთვლით) "მხოლოდ" 110 დოლარით.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში სომხეთს საქართველოზე ძვირად უნდა მიყიდონ გაზი, რაკი ეს ქვეყანა უფრო შორსაა რუსეთიდან.

გარდა ამისა, თურქეთი "ცისფერი ნაკადით" გაზს 90 დოლარად მიიღებს. და ეს მაშინ, როდესაც შავი ზღვის ფსკერზე გაზსადენის გაყვანა 3 მილიარდი დოლარი დაჯდა.

ანუ, კვლავ და კვლავ "მზესავით ნათელია", რომ მოსკოვი ენერგომატარებლებს თავისი გეოპოლიტიკის ინსტრუმენტად განიხილავს და არა საბაზრო პროდუქტად.

აქვე აუცილებლად აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოდან მოწოდებული აირის ოდენობა მხოლოდ 2012 წლისათვის მიაღწევს საქართველოს ეკონომიკის შემდგომი ზრდისათვის (და არა მხოლოდ გათბობა-განათებისათვის!) აუცილებელ მინიმუმს.

## საპასუხო სვლა

ზურაბ ნოღაიდელმა ყაზახეთის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრთან მოლაპარაკებისას მიაღწია პრინციპულ შეთანხმებას, რომლის თანახმად, ყაზახეთი მზად არის 2006 წლიდან, დაახლოებით ათი წლის განმავლობაში საქართველოს მიაწოდოს 2 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი ყოველწლიურად. თანაც მხოლოდ 68 დოლარად(!).

ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის ეს (გადაუჭარბებლად) ძალიან დიდი წარმატებაა, მაგრამ რუსეთს მნიშვნელოვანი ბერკეტი აქაც ხელთ უპყრია:

ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი სერიოზული გეოპოლიტიკური პრობლემა ის გახლავთ, რომ ვერა და ვერ მოხერხდა ცენტრალური აზიიდან დასავლეთისაკენ ნავთობისა და გაზის დამოუკიდებელი მარშრუტის "აწყობა". ანუ, ისეთი მარშრუტისა, რომლის ბლოკირებაც (შესაბამისად, ფასის კონტროლი) რუსეთს აღარ შეეძლება.

ირანის მარშრუტი გამორიცხულია. თანაც, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაზე დამოკიდებულება დასავლეთისათვის კიდევ უფრო ნაკლებად მისაღებია, ვიდრე რუსეთზე, არამედ იმიტომაც, რომ ირანმა საკუთარ ენერგომატარებლებს რა უყოს, - არ იცის.

რაც შეეხება გაურკვეველი სტატუსის მქონე კასპიის ზღვის ფსკერზე ნავთობსადენებისა და გაზსადენის გაყვანას, რუსეთმა ამ იდეას უპასუხა უპრეცედენტოდ მასშტაბური სამხედრო-საზღვაო მანევრებითა და სარაკეტო სროლებით კასპიის ნეიტრალურ წყლებში.

ამის მიუხედავად, ყაზახური ალტერნატივის მოძიება საქართველოს მთავრობისა და პირადად პრემიერ ნოღაიდელის მხრიდან საკმაოდ ჭკვიანური სვლაა.

საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთმა და ყაზახეთმა ამას წინათ გააფორმეს ხელშეკრულება გაზის ტრანსპორტირების ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ. ყაზახეთისთვის ეს "სულის მოთქმა" იყო, რაკი მანამდე რუსეთი აიძულებდა, კოლოსალური ოდენობის ბუნებრივი აირი ან უბრალოდ ჰაერში გაეშვა (ძვირფასი აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის თავიდან ასაცილებლად), ან "გაზპრომისთვის" სამ დოლარად (!!!) მიეყიდა.

კიდევ ამბობენ, "რუსებმა თვლა არ იციანო". თუ არ იციან – სხვები ასწავლიან.

ამრიგად, ერთობლივი კომპანიის შექმნის შემდეგ, რუსეთი დაინტერესებულია ყაზახეთს (და სხვებსაც) დაუდასტუროს, რომ თანამშრომლობის ასეთი ფორმა ორმხრივ მომგებიანი შეიძლება იყოს.

დავაკვირდეთ - ასეთივე ერთობლივი საწარმოს შექმნას (მილსადენთა სამართავად) მოსკოვი უკრაინასაც სთავაზობს.

ამრიგად, "გაზპრომს" სურს, ერთი მხრივ, ყაზახებს უცხოურ ბაზრებზე გასვლის ილუზია დაუდასტუროს, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს მახრჩობელა ბერკეტი ხელიდან არ გაუშვას.

ამიტომ, მილერმა ყაზახეთის ენერგეტიკის მინისტრს (მისი სახით კი ზურაბ ნოღაიდელს) ორი კვირის წინ ეშმაკური პასუხი გასცა: თანახმა ვართ, ეს 2 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი ჩვენ შევისყიდოთ და მერე საქართველოს იმავე 110 დოლარად მივყიდოთო.

მაშასადამე, იქმნება ვითარება, როდესაც ყველაფერი დამოკიდებულია რუსეთის მთავრობასთან და "გაზპრომთან" მიმდინარე მოლაპარაკებაზე, რომელიც გუშინ და დღეს იმართება მოსკოვში.

ზურაბ ნოღაიდელი ამ სამიტისთვის საგანგებოდ ემზადებოდა. პიროვნულად მას რაც შეეძლო და რაც საერთოდ შესაძლებელი იყო შექმნილ გეოპოლიტიკურ დისპოზიციაში, - ყველაფერი გააკეთა.

ძალიან დიდი "ფასი" და მნიშვნელობა უკვე იმას ექნება, თუ რამდენად აქვს ქართულ საზოგადოებას უნარი, მოთმინებითა და გაგებით აიტანოს "დარტყმები" და გაჭირვება, რაც, როგორც ჩანს (რუსეთში იმპერიული პროექტის აღორძინების ფონზე), აუცილებელი ხდება - დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის პროცესში.

## ზურაბ ნოღაიდელი "გაზპრომთან" მოლაპარაკებებს მართავს

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მოსკოვში გაემგზავრა, სადაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობების მეთაურთა სამიტში მონაწილეობას მიიღებს. ვიზიტის ფარგლებში ნოღაიდელი რუსეთის პრემიერ-მინისტრ მიხაილ ფრადკოვთან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან და რუსეთის ტრანსპორტის მინისტრ იგორ ლევიტინთან გამართავს შეხვედრებს, სადაც ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები იქნება განხილული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა "გაზპრომის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსეი მილერთან გუშინ უკვე გამართა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის და "გაზპრომის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის ალექსეი მილერის მოლაპარაკების ძირითადი თემა ახალი წლიდან საქართველოსთვის რუსეთის ტერიტორიის გავლით ყაზახური გაზის მიწოდება იყო. მოლაპარაკებას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაურიც ესწრებოდა, რომელიც უკვე ორი დღეა, მოსკოვში იმყოფება და იმავე თემაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს.

**"გაზპრომი" ყაზახეთის მიერ 1000 კუბურ მეტრზე 68 დოლარად შემოთავაზებული გაზის ტრანზიტისათვის იმდენად დიდ ფასს ითხოვს, რაც საქართველოსთვის ამ გაზს 110 დოლარამდე გააძვირებს. თვით "გაზპრომი" რუსულ გაზს იმავე 110 დოლარად გვთავაზობს, ანუ დღევანდელ ფასზე ორჯერ ძვირად. "გაზპრომის" პოზიცია გამოხატავს კრემლის უკვე დაუფარავ სურვილს, დასაჯოს საქართველო,"** - განაცხადეს დელეგაციის წევრებმა.

*ინტერპრესნიუსი*

უცხოეთი

## ჩინეთში დაწყებული ეკოლოგიური კატასტროფა რუსეთში გაგრძელდება



პირველი გვერდიდან

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ძილინში მდებარე ქიმიურ ქარხანაში 13 ნოემბერს მომხდარ აფეთქებათა შედეგად, ადამიანის სიცოცხლისთვის სახიფათო მომწამვლელი ნივთიერება ბენზოლი მდინარე სუნგარში მოხვდა. მოწამლულმა წყლის ნაკადმა გუშინ ჩინეთის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქს ჰარბინს მიაღწია. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ქალაქს წყლის მიწოდება ჯერ კიდევ 21 ნოემბერს შეუწყდა. თავდაპირველად ხელისუფლება ჰარბინისთვის წყლის შეწყვეტის მიზეზად სარემონტო სამუშაოებს ასახელებდა, თუმცა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ გავრცელებული ცნობები ხელისუფლების განცხადებებისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. მოგვიანებით ქალაქის მმართველობამ მოსახლეობას მდინარეში ბენზოლის მაღალი დონის არსებობის შესახებ ოფიციალური განცხადება გააცნო. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ გუშინ დილით ჩინეთის გარემოს დაცვის სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მდინარე სუნგარში ბენზოლი დაშვებულ ნორმას ოცდაათჯერ, ხოლო საღამოს მონაცემთა მიხედვით ასრვაჯერ აღემატებოდა (ბენზოლი, რომელიც ბენზინის გადამუშავების გზით მიიღება, ადვილად აალებადი სითხეა. ის გამოიყენება, როგორც გამხსნელი საშუალება და საღებავების გამხსნელი. აღნიშნულ ნივთიერებასთან ადამიანის ხანგრძლივი კავშირი ლეიკემიასა და ძვლის ტვინის დაშლას იწვევს. ნივთიერების დიდი ოდენობა ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშია.).

ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აღმოჩენილ ქალაქში სკოლები და სხვა დაწესებულებები დროებით დახურულია. რეგიონში მდებარე 15-მდე სავადმყოფო ტოქსიკურად მოწამლულ პაციენტთა მისაღებად სრულ მზადყოფნაშია. ჩინური საინფორმაციო სააგენტოს "სინჰუას" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჰარბინში ცისტერნებით 16 ათას ტონამდე სასმელი წყალი შეიტანეს. თუმცა, წყლის ეს რაოდენობა 4 მილიონიანი ქალაქისთვის საკმარისი არ არის. ჰარბინში სასმელი წყლის დეფიციტთან დაკავშირებით დაწყებულმა კრიზისმა, ბოთლებში ჩამოსხმულ წყალზე ფასების ზრდა განაპირობა. გაზეთი "ჩაინა დეილი" იუწყება, რომ სავაჭრო დაწესებულებებში სასმელი წყალი მთლიანად გაყიდულია, თუმცა სხვა სასმელების ყიდვა, მაგალითად რძის, ჯერ კიდევ შესაძლებელია. ჰარბინის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქს ტოვებს. **"ყველას ჰარბინიდან გამგზავრება სურს, სწორედ ამიტომ აეროპორტები გადატვირთულია და თვითმფრინავზე ბილეთის შოვნა, ფაქტობრივად, შეუძლებელია,"** – აღნიშნა ქალაქის ერთ-ერთმა მკვიდრმა. სპეციალისტთა ვარაუდით, 80 კილომეტრის სიგრძეზე გადაჭიმული დაბინძურებული წყლის ნაკადი, ჰარბინს დაახლოებით ოთხ დღეში, ანუ შაბათისთვის გასცდება.

საგულისხმოა, რომ ქალაქ ჰარბინიდან რუსეთის ფედერაციის საზღვრამდე 700 კილომეტრია და დეკემბრის დასაწყისში დაბინძურებული წყლის ნაკადი მდინარე ამურს შეერევა. სოფელი ლენინსკოე რუსეთის პირველი დასახლებული პუნქტი იქნება, სადაც ადამიანის სიცოცხლისთვის სახიფათო ქიმიური ნივთიერებებით გაჯერებული წყალი შეაღწევს. გუშინ ლენინსკოესთან ახლოს, ამურისა და სურგარის შეერთების ადგილზე წყლის პირველი სინჯები გაკეთდა. ანალიზებმა აჩვენეს, რომ წყალში ბენზინოლისა და ფენოლის შემცველობა ჯერჯერობით ნორმაშია.

სასმელი წყლის შესაძლო გადაკეტვით ხაბაროვსკის მხარის მოსახლეობაა შეშინებული. გუშინ მთელი დღის განმავლობაში ხალხი წყლის მომარაგებით იყო დაკავებული. სავაჭრო დაწესებულებებში არსებული წყალი მთლიანად გაყიდულია. სასმელი წყლის გარშემო დაწყებულ სახალხო მღელვარების ჩახშობას ხაბაროვსკის მერი ალექსანდრ სოკოლოვი შეეცადა. ის ადგილობრივი ტელევიზიით გამოვიდა და მოსახლეობას პანიკის შეწყვეტა სთხოვა. სოკოლოვმა სავაჭრო ორგანიზაციებს ბოთლებში ჩამოსხმული წყალის ფასის კონტროლი დაავალა და მისი მომატების შემთხვევაში ორგანიზაციებს გარკვეული პასუხისმგებლობის დაკისრებით დაემუქრა. ხაბაროვსკის ხელისუფლება წყლის მოსალოდნელი კრიზისის დასაძლევად ემზადება. ქალაქი 50 ათასი კუბიკური მეტრის ოდენობის წყლის რეზერვსა და მოსახლეობისთვის წყლის მიმწოდებელ 70-მდე სპეციალური მანქანას ფლობს. თუმცა, დღეისთვის გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხაბაროვსკში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება გარდაუვალი იქნება.

ორი სიტყვით

**ერაყი.** ყოფილი დიქტატორის, სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესს აშშ-ს ფასიანი ტელეარხი "Court TV Extra" პირდაპირ ეთერში აჩვენებს. ჩვენება 28 ნოემბერს, თბილისის დროით 13-დან 18 საათამდე გაიმართება.

1982 წელს 148 შიიტი მუსლიმის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით სასამართლო განხილვა 19 ოქტომბერს დაიწყო. თუ ჰუსეინსა და მის შვიდ თანამონაწილეს დამნაშავედ ცნობენ, მათ სიკვდილით დასჯა, ჩამოხრჩობა ელით. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ბალკანეთი.** ბელგრადი კოსოვოს ეთნიკური ნიშნით გაყოფის წინადადებით გამოდის. თუმცა, როგორც სერბეთის პრეზიდენტმა ბორის ტადიჩმა განაცხადა, ალბანურ და სერბულ ნაწილებლად გაყოფილი კოსოვო სერბეთის შემადგენლობაში უნდა დარჩეს.

მხარის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს ტადიჩი ბელგრადში გაერო-ს წარმომადგენელთან, ფინეთის ყოფილ პრეზიდენტ მარტი აჰტისაართან განიხილავს.

კოსოვოს ალბანური ხელმძღვანელობა მხარისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას კატეგორიულად მოითხოვს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**აზერბაიჯანი.** ბლოკი "ჩვენი აზერბაიჯანი" 30 ნოემბერს განიხილავს საკითხს, რომელიც ბლოკის თავმჯდომარეობიდან პარტია "მუსავათის" ლიდერის ისა გამბარის გადაყენებას შეეხება.

ამის შესახებ სააგენტო "ტრენდს" ბლოკის კოორდინატორმა, აზერბაიჯანის სახალხო-გამათავისუფლებელი პარტიის თავმჯდომარე ვალეხ იბადოვმა აცნობა.

მან ასევე დასძინა, რომ ბლოკის საქმიანობის გასააქტიურებლად აუცილებელია რიგი რეფორმების გატარება.

ვალეხ იბადოვმა აღნიშნა, რომ არჩევნების შედეგების წინააღმდეგ ოპოზიციის საპროტესტო მიტინგებში "ჩვენი აზერბაიჯანის" მონაწილეობასთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილების მიღება ბლოკში არ იგეგმება. **პრაიმნიუსი**

Kuzanov Clinic — კუზანოვის კლინიკა

1. ლაზერული ეპილაცია
2. ლაზეროთერაპია (ტყლიპების, პიგმენტომების, ხალების, სვირინგების მოცილება)
3. მეზოთერაპია
4. დერმოაბრაზია
5. ქიმიური პილინგები
6. სხეულის ლაზერული კორექცია
7. ენერგეტიკული ქოქონი (ნერვული დაძაბულობა, დეპრესია, რევმატიზმი, ოსტეოქონდროზი, კუნთების დაძაბულობა)
8. პედიკური
9. ნარბების კორექცია
10. კოსმეტოლოგია
11. მანიკური
12. სტომატოლოგია
13. თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია

თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმი
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

# რამდენად შეუქცევადია ქვეყანაში დაწყებული ცვლილებები?

პირველი გვერდიდან

მაგრამ დღეს, პრეზიდენტის მსგავსად, ჩვენც აქცენტს ვაკეთებთ იმაზე, რომ წლების შემდეგ, როდესაც მინისტრები შეიცვლებიან, როდესაც შეიცვლება თავად პრეზიდენტი, გაგძელდება თუ არა ის ცვლილებები, რომელიც ორი წლის წინ დაიწყო.

პროცესების შეუქცევადობას ყველა ქვეყანაში მყარი სახელმწიფო და დემოკრატიული ინსტიტუტები უზრუნველყოფენ.

პრეზიდენტმა საერთაშორისო ფორუმზე დიდხანს ილაპარაკა საპატრულო პოლიციის წარმატებასა და, ზოგადად, პოლიციის მიმართ ხალხის გაზრდილ ნდობაზე, მაგრამ მას არ უხსენებია არც სასამართლო სისტემის და არც თვითმმართველობის წარმატება. ეს ორი დემოკრატიული ინსტიტუტი კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს, წარმატებისთვის.

ეს რომ ასეა, თავად მიხეილ სააკაშვილმაც ძალიან კარგად იცის, შესაძლოა – უკეთესადაც, ვიდრე სხვებმა. თუმცა სხვაა, იყო ხელისუფალი და გაუძლო ცდუნებას, უარი თქვა იმ გარემოზე, სადაც შეიძლება აკონტროლო ყველა და ყველაფერი, მათ შორის სასამართლოში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

ორი დღის წინ უზენაესი სასამართლოს სამმა მოსამართლემ განაცხადა, რომ ხელისუფლება მათზე ზეწოლას ახდენს, ხელისუფლებამ კი, ბუნებრივია, მაშინვე დაადანაშაულა ეს მოსამართლეები არაპროფესიონალიზმსა და კანონის უხეშ დარღვევებში.

რა და როგორ დაარღვიეს მოსამართლეებმა, ეს დეტალურად განსახილველი პრობლემა და სხვა წერილის თემაა, თუმცა ყველას კარგად ახსოვს, რომ ამ სამი მოსამართლიდან ერთ-ერთი, დავით სულაქველიძე, თავის დროზე თვითონ მიხეილ სააკაშვილმა აქცია რეფორმირებული სასამართლოს პატიოსნებისა და პროფესიონალიზმის სიმბოლოდ. რაც შეეხება დანარჩენ ორ მოსამართლეს, მერაბ ტურავასა და ნინო გვენეტაძეს, ძნელია მათ არაპროფესიონალიზმზე ლაპარაკი იმ ხელისუფლების მხრიდან, რომელიც შევარდნაძის დროინდელ პროკურორს ნუგზარ გაბრიჩიძეს ისე ნიშნავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ, რომ მის პროფესიონალიზმზე, კვალიფიკაციასა და პატიოსნებაზე კითხვები და ეჭვები საერთოდ არ უჩნდება.

მიუხედავად შედეგებისა, მოსამართლეების პროტესტის ფაქტი ძალზე მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია იმით, რომ სასამართლოს ხელისუფლების დამოუკიდებლობაზე, პირველ რიგში, მოსამართლეებმა უნდა იზრუნონ და პოლიტიკური ზეწოლისათვის წინააღმდეგობის გაწევის პრეცედენტები თავად მათ უნდა შექმნან..

რაც შეეხება თვითმმართველობას, არც ამ მიმართულებით არის გადგმული რევოლუციური ნაბიჯები. მცდელობა, რომ თვითმმართველობის ინსტიტუტები, რაც შეიძლება ნაკლებ დამოუკიდებელი და უფრო მეტად ფორმალური იყოს, უკვე ჩანს ხელისუფლების შემოთავაზებულ ვარიანტებში და საკანონმდებლო ინიციატივებში. ხოლო თუ უკვე არსებული გამოცდილების მიხედვით ვიმსჯელებთ, ხელისუფლებას პარლამენტში მხოლოდ ის გააქვს, რაც თვითონ უნდა და არანაირ პრინციპულ დათმობებზე არ მიდის არც ოპოზიციასთან და არც სამოქალაქო სექტორთან.

დღეს ხელისუფლება კვლავაც უფრო პირამიდას ჰგავს, ვიდრე კარგად ამუშავებულ სისტემას, სადაც ყველა რგოლს თავისი ფუნქცია აქვს.

სწორედ ქართული ბიუროკრატიის არაქმედითობამ გააკეთებინა პრეზიდენტს ბოლო დროს მისი ყველაზე წარუმატებელი განცხადება - ყველა მინისტრს ეპასუხა მოქალაქეთა ზარებისათვის. მინისტრის ტელეფონი რომ ცხელი ხაზი ან ნდობის ტელეფონი არ არის, ეს ამ ქვეყანაში ყველამ იცის და, ბუნებრივია, ეს კარგად უწყის თავად პრეზიდეტმაც. ამიტომ, მისი გამოსვლა, პირველ რიგში, ხალხის გულის მოგებაზე იყო გათვლილი. თუმცა ნებისმიერ ადამიანს საკუთარი ტელეფონით მინისტრის ხმის მოსმენაზე მეტად იმ პრობლემების გადაჭრა სურს, რომელსაც კარგად აწყობილ სისტემაში რიგითი ჩინოვნიკები უნდა აგვარებდნენ.

რევოლუციისადმი მიძღვნილ ფორუმზე გამოსვლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ისიც განაცხადა, რომ მაშინ, როცა სენატორი მაკკეინი და უამრავი საერთაშორისო ექსპერტი ვარდების რევოლუციის მნიშვნელობასა და ამ რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების მიერ მიღწეულ წარმატებებზე საუბრობენ, უსინდისოა ის, ვინც ქვეყნის შიგნით ამ წარმატებებს არ ან ვერ დაინახავს.

ის რომ, საერთაშორისო დონის ექსპერტები და ამერიკის ხელისუფლების მაღალჩინოსნები საქართველოს წარმატებებზე საუბრობენ, ძალზე საგულისხმოა და ამას არც არავინ უარყოფს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რას ფიქრობენ ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ და რომლებსაც ყოველდღიურად უწევთ უამრავ პრობლემასთან შეჯახება.

შევარდნაძის რეიტინგი იგივე ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებაში ძალიან დიდი ხნის განმავლობაში დარჩა ურყევი, იმ ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კრიზისის მიუხედავად, რომელიც მაშინ საქართველოში იყო.

მიუხედავად დიდი მითისა, რომ რევოლუცია საქართველოში ამერიკის ელჩმა რიჩარდ მაილსმა მოახდინა, ამ რევოლუციის სულისჩამდგემლი ხალხი იყო. მაშინ ამერიკამაც და ევროპამაც დამკვირვებლების როლი მოირგო.

ასე რომ, მთავარია, რას ფიქრობს ხალხი. მართალია, დღეს ხალხის განწყობა შორს არის ორი წლის წინანდელი რევოლუციური განწყობებისაგან, მაგრამ მის შესანარჩუნებლად დიდი შრომაა საჭირო.

ყველაზე დიდი გამოწვევა, რომელიც დღეს საქართველოს ხელისუფლებას აქვს და რომელიც ყველა პოსტსოციალისტური სახელმწიფოების ხელისუფალთა ცდუნებას წარმოადგენს, არის უარის თქმა მართვის იმ სისტემებზე და მეთოდებზე, რომელსაც მათი წინამორბედები იყენებდნენ, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც დემოკრატიული ინსტიტუტები, დამოუკიდებელი სასამართლოსა და თვითმმართველობის სახით, არ არსებობს, ხოლო შევარდნაძის დროინდელი დახავსებული სისტემის შეცვლა არცთუ ისე სწრაფად და ეფექტურად ხდება. ასე რომ, კითხვა - რამდენად შეუქცევადია ქვეყანაში დაწყებული წარმატებული ცვლილებები - ძალზე აქტუალური და ჯერჯერობით პასუხგაუცემელია.

## საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი
## მოწვევა ინტერესის გამოსახატად საკონსულტაციო მომსახურებაზე ნომერი CQ-15

## "კოლხეთის დაცული ტერიტორიების და ჭოროხის დელტის ორნიტოლოგიური კვლევა"

"სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი" - მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე "საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის" განმახორციელებელი ორგანიზაცია იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციებს გამოხატონ ინტერესი ზემოაღნიშნული საკონსულტაციო მომსახურების შესასრულებლად.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა მოგვაწოდონ სათანადო ინფორმაცია (ბროშურები, ადრე შესრულებული მსგავსი სამუშაოების აღწერა, ანალოგიურ პირობებში მუშაობის გამოცდილება, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის არსებობა, ადრე ჩატარებული ორნიტოლოგიური კვლევების ამსახველი ანგარიშები და ა. შ.), რომელიც დაადასტურებდა მათ შესაძლებლობებს შეასრულონ აღნიშნული სამუშაო.

ორგანიზაცია შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პროცედურების შესაბამისად, კონსულტანტის კვალიფიკაციის მეთოდით. დამატებითი ინფორმაციის მიღება კონკურსის შესახებ შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა ინტერესის გამოხატვის დოკუმენტაცია 2005 წლის 30 ნოემბრამდე უნდა წარმოადგინონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

**მამუკა გვილავა, დირექტორი**
**სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი**
**(ს.ზ.ი.მ. ცენტრი)**
**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო**
**გულუას 6, მე-6 სართული, თბილისი, 0114, საქართველო**
**ელექტრონული ფოსტა: PHASiS@ICZM.org.ge**

**ინტერნეტი: www.ICZM.org.ge**
**ტელ/ფაქსი: 75-50-40; მობილური: 899-54-66-16**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ხელახალ ღია ორეტაპიან ტენდერს (ორ ლოტად) ფონდის ქვედანაყოფების განსათავსებლად საოფისე და საარქივო ფართობის შესყიდვის მიზნით და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ფონდის საორგანიზაციო - ადმინისტრაციული ხარჯები.

2. შესყიდვის ობიექტია

**I ლოტი - ფართობი ქ. თბილისში ისანი-სამგორის რაიონში:**
**სამუშაო ფართობი არანაკლებ 130 $მ^2$;**
**საარქივო ფართობი არანაკლებ 40 $მ^2$;**
**II ლოტი - ფართობი წყალტუბოს რაიონში:**
**სამუშაო ფართობი არანაკლებ 60 $მ^2$;**
**საარქივო ფართობი არანაკლებ 30 $მ^2$;**

3. ფართობის გადაცემის ვადაა 10 კალენდარული დღე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 12 დეკემბრიდან 13 დეკემბრის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ვ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

ზ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის წესდება;

თ) ნოტარიულად დამოწმებული პარტნიორთა ან დამფუძნებელთა თანხმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისად ლიცენზირებული პოლიკლინიკიდან);

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საქალაქო (რაიონული) სასამართლოდან);

დ) თანამესაკუთრეთა თანხმობა (ნოტარიულად დამოწმებული);

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ცნობა, იმის თაობაზე, რომ შენობა არ არის სასამართლოს დავის საგანი (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საქალაქო (რაიონული) სასამართლოდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

***პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში***, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში ***(საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენასთან ერთად).***

***პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას***:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ფართობისა და შენობაზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზი;

დ) ინფორმაცია შენობის სართულიანობის, ტექნიკური მონაცემებისა და მდგრადობის შესახებ;

ე) ფასადებისა და ინტერიერის ამსახველი ფოტო ან ვიდეო მასალა;

ვ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

9. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

10. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 14 დეკემბრიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

12. პრეტენდენტებმა თითო ლოტზე უნდა წარმოადგინონ თითო სატენდერო წინადადება.

13. ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან - სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი ბესიკ დათუკიშვილი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გელა ჩიკვაიძე მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. ტელ: 69-65-90, 69-48-71; E-mail: Procurement-ge@yahoo.com.

# გზა მონობიდან თავისუფლებისკენ!

ადამიანი ბუნების შვილია და იგი თავისუფლებისთვის არის შობილი, თავისუფლება კი უზარმაზარ პასუხისმგებლობას გულისხმობს, როგორც საკუთარი თავის, ასევე საზოგადოების წინაშე. სამწუხაროდ, მისი ზიდვა ყველას ერთნაირად ხელარეწიფება. ზოგი ილტვის და აღწევს კიდეც მიზანს, ზოგს კი მონობა ურჩევნია, ან იქნებ არც ურჩევნია, მაგრამ ძალა არ ყოფნის, სულიერი ძალა, ნება - იყოს თავისუფალი. ასეთი ადამიანი ადვილად ჰყვება სხვის ნებას, ემონება სხვას - მასავით თავისუფლებისთვის შობილს, ან თუნდაც გარემოებას, ჩვევას, იდეას, "კუჭს" და ა.შ. სუსტი ნების მქონე, უპრინციპო ადამიანი ადვილი შესაცდენია, შეცდენილი კი, შესაძლოა, დიდი პატივისცემის გრძნობას არ იწვევდეს, მაგრამ თანაგრძნობას ნამდვილად იმსახურებს. საერთოდ, თანაგრძნობა ძლიერთა და კეთილშობილთა ხვედრია და თუ ჩვენ პრეტენზია გვაქვს გვხედავდნენ ასეთებად - უნდა ვიყოთ კიდეც ასეთნი.

მართალია, ჩვენი საზოგადოება არაერთგვაროვანია და ყველას ვერ მოსთხოვ დიდბუნებოვნებას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დავრდომილთა და უპოვართა, ავადმყოფთა მიმართ თანაგრძნობის უნარი ბოლომდე ჯერ კიდევ არ დაგვიკარგავს. თუმცა, თუ სიმსივნური, ფსიქიატრიული, ენდოკრინოლოგიური, გულ-სისხლძარღვთა და სხვა დაავადებათა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება ადეკვატურია (ასე თუ ისე შეუძლია გაითავისოს სხვათა ტკივილი და თუ დახმარების ხელს ვერ გაუწვდის, არ დაძრახავს მაინც), ამას ვერ ვიტყვით ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა მიმართ დამოკიდებულებაზე (მხედველობაში არ გვყავს თინეიჯერები და ახალგაზრდების ის ნაწილი, რომლებსაც ყალბი ღირებულებები უყალიბდებათ, ალტაცებით შეჰყურებენ "ცოდვილ კერპებს" და ცდილობენ მიბაძონ მათ), არადა, საქმე გვაქვს ავადმყოფებთან, საკმაოდ მზაკვრულ დაავადებასთან, რომელიც ხავსივით მოედო ჩვენ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი მის ახალგაზრდულ, რეპროდუქციულ ნაწილს.

უმაღლესი სასწავლებელი და პენიტენციალური სისტემა - აი, ერთი შეხედვით, სოციალური იერარქიის ორ, დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციაზე მდგომი დაწესებულება, რომლებსაც საერთო სატკივარი აერთიანებთ - ნარკოტიკული საშუალებები. მაგრამ, თუ "თავისუფლებაში" მყოფ ახალგაზრდებს, სურვილისა და ნების გამოხატვის შემთხვევაში, კიდევ აქვთ შანსი, რალაც მაინც მოიმოქმედონ გადასარჩენად, პატიმრების მდგომარეობა თითქმის უიმედოა.

ცხადია, მავანმა დემაგოგმა შეიძლება ბრძანოს, რომ ციხე დაცული, დახურული სისტემაა და ნარკოტიკული საშუალებები იქ არ უნდა აღწევდეს. მართალიც იქნება, მაგრამ გზა სასურველ "უნდასა" და რეალურ "არის" შორის უსაშველოდ გრძელია. ნარკოტიკული საშუალებები ციხეში - მომგებიანი ბიზნესია და სანამ მასზე მოთხოვნა იარსებებს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ - მოწოდება არასდროს დააყოვნებს. ამ პროცესის შეჩერება, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლის სურვილისა და ნების გამოხატვითა და საზოგადოების თანადგომით შეიძლება. პატიმარი ერთსაც მოკლებულია და მეორესაც. ამიტომ "ბრძოლა" უნდა გამოვუცხადოთ არა ნარკოტიკულ საშუალებებს, არამედ საზოგადოების დამოკიდებულებას ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლების მიმართ და უნდა ვეცადოთ ნარკოჯაჭვიდან ამოვაგდოთ ყველაზე დაინტერესებული რგოლი - მომხმარებელი.

ვინაიდან ნარკომანიასთან ჩვენი "ბრძოლის" კონცეფცია მნიშვნელოვნად განსხვავდება სახელმწიფოს პოზიციისგან (ნარკომანიასთან სისხლის სამართლის კოდექსით, სასტიკად დასჯის მეთოდით ბრძოლა), მიგვაჩნია, რომ მართლა უნდა ვანებოთ თავი ქარის წისქვილებთან უაზრო, უშედეგო ჭიდილს, მიმტევებლობა გამოვიჩინოთ ნარკომანიით დაავადებულთა, სწორედ დაავადებულთა და არა დამნაშავეთა მიმართ, მოვნახოთ გზები ზიანის შემცირებისა და ვეცადოთ, თუ ბოლომდე ვერ განვკურნავთ, თავიდან მაინც ავაცილოთ სხვა, უფრო მძიმე დაავადებების "აკიდების" რისკი. არ გეგონოთ, რომ ეს განსაკუთრებული ზრუნვა ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა მიმართ, მარტო მათი გადარჩენის მიზნით ხორციელდება. უწინარეს ყოვლისა, ამით საკუთარ თავს ვიცავთ, ჩვენს შთამომავლობას, თან არა მარტო ნარკომანიისგან, არამედ თანმდევი ინფექციური დაავადებებისგან (შიდსი, ჰეპატიტი, ვენერიული დაავადებები და ა.შ.) .

რასაკვირველია, ზიანის შემცირების გზა საკმაოდ შრომატევადი და ძვირი სიამოვნებაა და თუ ამ "სიამოვნებას" სახელმწიფოს "ავკიდებთ", აღმოჩნდება, რომ სწორედ სახსრების უქონლობის გამო პროექტი ვერ განხორციელდება. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვაჩვენებს, თურმე ნუ იტყვი, ყველაზე რთულ გარემოში, ყველაზე დაუცველ კონტიგენტთან - პატიმრებთან მუშაობა გაცილებით იაფიც ჯდება და არც თუ მაინცდამაინც შრომატევადია. რატომ? საპყრობილის პირობებში არ არის საჭირო დამატებითი ფართის იჯარით აღება, დროის გამოძებნა, პაციენტებთან ხანგრძლივი სატელეფონო საუბრები, მათი დარწმუნება, შეკრება, სპეციალურ კლინიკამდე ტრანსპორტირება და ა.შ. ყველაფერი ადგილზეა. ე.ი., საჭიროა ჩვენი საქმიანობის, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირების პროგრამის განხორციელება სწორედ საპყრობილეებში.

პატიმრების თავისებურებების (ნარკოტიკების მომხმარებელთა მაღალი წილი, გადამდები დაავადებების, განსაკუთრებით, შიდსი-ს, ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის მაღალი მაჩვენებელი, ერთი შპრიცის "წრეზე დატრიალების" პრინციპი, როდესაც იგნორირებულია სტერილურობის ელემენტარული მოთხოვნები), მათი ქცევებისა და მობილურობის მაჩვენებლის გათვალისწინებით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ციხის კონტიგენტი მაღალი რისკის წინაშე დგას და აქედან გამომდინარე, წარმოადგენს ზიანის შემცირების პროგრამების პრიორიტეტულ სამიზნე ჯგუფს.

**ევროკავშირის ქვეყნებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პროექტში მონაწილე ყველა ქვეყანაში (ბელგია, გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი, პორტუგალია და შვედეთი) ფართოდ არის გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებების ინექციური მოხმარება. 3200 გამოკითხულიდან 7-მა პროცენტმა აღიარა, რომ ნარკოსაშუალებების ინექციები პირველად სწორედ საპყრობილეში გაიკეთა, ხოლო რესპონდენტთა 45-მა პროცენტმა ბრძანა, რომ საპატიმროში რეგულარულად იკეთებდა ხსენებულ ინექციებს.**

**9 მილიონიან შვედეთში, მაგალითად, 55 საპატიმრო და 4500 პატიმარია. მათგან 60 პროცენტი ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელია.**

**პორტუგალიაში 14 ათასი პატიმრიდან ნახევარი ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელია, ხოლო თითქმის მესამედი ჰეროინისა და სხვა ინექციური ნარკოტიკების. წამალდამოკიდებულ პატიმართა სოციოლოგიურმა გამოკითხვა გამოავლინა, რომ მათგან სამი მეოთხედი წამლის გასაკეთებლად სხვის მიერ გამოყენებულ არასტერილურ შპრიცს მოიხმარს. შედეგიც შესაბამისია - მათი 14% შიდსის ვირუსის მატარებელია, ხოლო 400 პატიმარი შიდსით არის დაავადებული.**

**საერთოდ, ეპიდემიური აფეთქების მასშტაბები გამაოგნებელია. მაგალითად, 2002 წელს ლიტვაში, მკაცრი რეჟიმის ციხეში (Alytus) გამოვლინდა იმუნოდეფიციტის ვირუსის 207 მატარებელი. სულ რამდენიმე თვეში, განმეორებით შემოწმებისას, ამ რიცხვმა თითქმის 300-ს მიაღწია. 2001 წელს რუსეთის ფედერაციაში (თათრეთში) შიდსის ვირუსი 260 პატიმარს შეეყარა. ასეთი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება.**

საპყრობილე საქართველოში - ადამიანის ჯანმრთელობისთვის ყველაზე არაკეთილგანწყობილი გარემოა. იქ მოხვედრის შემთხვევაში, ადამიანი არა მარტო თავისუფლებას კარგავს, არამედ ჯანმრთელობასაც და, ხშირად, სიცოცხლესაც. ძალადობა, ნარკომანია, ინფექციური დაავადებები, ჩვეულებრივი ამბავია სასჯელაღსრულების კონტიგენტისთვის. იქ არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ვითარება, როგორც წესი, აუტანელია: სუფთა ჰაერის უკმარისობა, სივიწროვე, სიბინძურე, არაკალორიული კვება, არაადეკვატური სამედიცინო დახმარების, სტრესული გარემო. ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ მრავალი პატიმარი უკვე ავადმყოფი, მათ შორის მძიმე ინფექციური დაავადებებით დასნეულებული ხვდება ციხეში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გადავსებულ საკნებში გვერდიგვერდ ცხოვრობენ ავადმყოფი და ჯანმრთელი ტუსაღები, მათ შორის ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლები, რომლებიც, როგორც წესი, იგნორირებას უკეთებენ სტერილიზაციის, სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს, ერთი ერთჯერადი შპრიცით იკეთებენ ნარკოტიკულ საშუალებებს, ასევე ერთი არასტერილური ნემსით იკეთებენ ტატუირებას, ეწევიან უწესრიგო სექსუალურ ცხოვრებას, გასაგები ხდება, რომ დროთა განმავლობაში, ისინი მძიმე ინფექციური დაავადებების "თაიგულის" - შიდსის, ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, ვენერიული დაავადებების მატარებლები და საზოგადოებისთვის საშიში ხდებიან.

სამართლიანია, ალბათ, როდესაც დამნაშავეს აპატიმრებენ, მაგრამ სასამართლოს განაჩენი არ უნდა გახდეს მისი მძიმე, უკურნებელი სენით დაავადების საფუძველი, მით უმეტეს ისეთი ინფექციური, გადამდები დაავადებების, რომლებიც სიცოცხლისთვის სახიფათოა. უფრო მეტიც, პენიტენციალური სისტემის სამედიცინო პერსონალის მიერ არასწორი, არასათანადო მკურნალობის, წამლების დეფიციტისა თუ უსისტემოდ მიწოდების გამო, ბოლო დროს საპყრობილეებში ისეთი ინფექციური დაავადებები ვითარდება, რომლებიც ტრადიციული წამლების მიმართ მდგრადობას იძენენ და მკურნალობას აღარ ექვემდებარებიან, რაც მთლიანად საზოგადოებას, კაცობრიობას უქმნის საფრთხეს.

ადამიანებს (არა მარტო ქართველებს) პრეტენზია გვაქვს, რომ ყველაზე გონიერი არსებები ვართ, ყოველ შემთხვევაში დედამიწაზე მაინც. მაშინ ისმება კითხვა, რა უფრო გონივრულია - ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლები მასობრივად შევრეკოთ სატუსაღოებში, უყურადღებოდ, სამედიცინო დახმარების გარეშე დავტოვოთ, მივანდოთ საკუთარ თავს, ვამრავლებინოთ ნარკომანთა რიგები და კაცობრიობისათვის დამღუპველი დაავადებები, თუ სირაქლემასავით თავი ქვიშაში არ ჩავრგოთ, ვაღიაროთ, რომ ჯერ არ გვძალუძს ნარკომანიის, ამ უმძიმესი სენის დაძლევა და ყველამ ერთად ვიზრუნოთ მისგან გამოწვეული ზიანის შემცირებაზე? ჩვენ უკანასკნელის მომხრენი ვართ.

თუ უკვე აპრობირებულ, უცხოურ გამოცდილებას გავიზიარებთ, უპირველეს ყოვლისა საჭირო იქნება სამიზნეფოკუს ჯგუფისთვის სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდება და ამ მიზნით სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ პატიმრების განათლება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა დასახული მიზნის მისაღწევად.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ინფექციური დაავადებების გავრცელების მიზეზების გათვალისწინებით, თუ თვალებს "მორცხვად"არ დავხუჭავთ და მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ პატიმრებს შორის, არც თუ იშვიათად, ადგილი აქვს სექსუალური ძალადობის ფაქტებს, ძალზე ეფექტურია საგანმანათლებლო პროგრამების ფონზე მათი პრეზერვატივებით უზრუნველყოფაც. ეს მარტივი და იაფფასიანი მეთოდი საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა და მას მრავალ ქვეყანაში წარმატებით იყენებენ.

ასევე შედეგიანია ინექციებისა და ტატუირების გასაკეთებელი ნემსების სადეზინფექციო პრეპარატებით (ქლორი, იოდოფორმი) დამუშავება, რაც წარმატებით ხორციელდება კანადის, ავსტრალიის, უკრაინისა და ევროკავშირის მრავალი ქვეყანის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში უპირატესობას არა დეზინფიცირებას, არამედ შპრიცების გაცვლას ანიჭებენ. პირველად ეს პროექტი ჯერ კიდევ 1992 წელს განხორციელდა შვეიცარიის მამაკაცთა მკაცრი რეჟიმის ციხეში ბერსცჰონგრუნ, ხოლო 1994 წლის ივნისში უკვე ქალთა ციხეში ინდელბანკ-ში აიღო სტარტი. დღესდღეობით შპრიცების გაცვლა დანერგილია შვეიცარიის, გერმანიისა და ესპანეთის ციხეებში

და მაინც, ყველაზე ეფექტური, ზიანის შემცირების თვალსაზრისით, ჩაშენაცვლებითი თერაპია ანუ ოპიატების ლეგალური გამოყენება ითვლება. დღეს მეტადონი აქტიურად ინიშნება ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, კანადისა და ევროკავშირის უმეტეს ქვეყანაში. გამოკვლევების აბსოლუტური უმრავლესობა ცალსახად ადასტურებს მის მაღალ ეფექტურობას. თუ სტატისტიკურ მონაცემებს დავუჯერებთ, ჩაშენაცვლებითი თერაპია ხელმისაწვდომია 21 ქვეყნის სასჯელაღსრულებით დაწესებულებისთვის, მაგრამ სრული მოცვით ამ მეთოდს მხოლოდ ესპანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში იყენებენ. სხვათაშორის, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ ნარკოტიკებთან "გამოცხადებული ომისა" და ტრადიციულად რეპრესიული მიდგომისა, გარკვეული ცვლილებები შეინიშნება - ზოგიერთ ციხეში დაიწყო მეტადონის ჩაშენაცვლებითი თერაპიის განხორციელება, ხოლო 5 ციხეში პრეზერვატივების გავრცელება.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მრავალი ქვეყნის პენიტენციალურ სისტემაში მოხდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტების სრულიად ახლებურად გააზრება. ნაცვლად არსებული მიდგომისა - "როგორ ავკრძალოთ ნარკოტიკული საშუალებების სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში შეღწევა", დაისახეს უფრო გლობალური და რეალისტური ამოცანა - "როგორ შევამციროთ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებით გამოწვეული რისკი". რასაკვირველია, არც ეს მეთოდი გახლავთ იდეალური. თუ საქართველოს რეალობას გავითვალისწინებთ, მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ პირველ ეტაპზე, ალბათ, პრობლემები გვექნება სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების ადმინისტრაციასთან, საჭირო იქნება მათი მენტალიტეტის შეცვლა, მთელი პერსონალის გადამზადება, მსჯავრდადებულთა ინფორმირება და დაჯერება, კონფიდენციალურობის დაცვა, თანამშრომლობა სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემასთან და მრავალი სხვა, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაყოვნოს.

ანალოგიური ან სხვა სახის სიძნელეები ყველა ქვეყანაში არსებობს და გზები მათი დაძლევისა ასევე განსხვავებულია, მაგრამ არსებობს საერთო კანონზომიერებები და ჩვენც ვალდებულები ვართ ყურადღებით შევისწავლოთ ყველა ალტერნატივა. ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ობიექტურ მოთხოვნილებებსა და ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს.

სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ქართულ საზოგადოებას ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ გაუაზრებია თუ რასთან გვაქვს საქმე - დანაშაულთან თუ ავადმყოფობასთან, მით უმეტეს როდესაც ეს მსჯავრდებულს ეხება. შესაძლოა დავკარგეთ მიმტევებლობის უნარი, ვერ ვეგუებით, უარყოფითად ვართ განწყობილი ნაროტიკული საშუალებების მომხმარებლების მიმართ, არ გვსურს ისედაც დამძიმებული ცხოვრების პირობების სხვათა პრობლემებით კიდევ უფრო დამძიმება, მაგრამ რამდენად სხვისია ეს პრობლემები, ამაზე დაფიქრება ნამდვილად გვმართებს და გვმართებს მანამ, სანამ უბედურება მოულოდნელად ოჯახში არ გვეწვევა. არადა იგი სულ თავს დაგვტრიალებს. ეტყობა თვითდაცვის ინსტინქტი გვაქვს დაკარგული, თორემ მივხვდებოდით, რომ უაზრობაა დავიჭიროთ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლები, საპყრობილეში ყველა პირობა შევუქმნათ მომაკვდინებელი ინფექციური "თაიგულის" შესაძენად, სასჯელის მოხდის შემდეგ დროებით დავაბრუნოთ საზოგადოებაში, საპყრობილეში შეძენილი დაავადებების გასავრცელებლად, ცოტა ხანში კი ისევ საპყრობილეში ვუკრათ თავი, როგორც ნარკომანს, სადაც მას "ბრწყინვალე" საშუალება მიეცემა "თაიგულის" თანამესაკნეებისთვის გადასანაწილებლად. შედეგად საზოგადოებას უკვე ერთი კი არა, რამდენიმე მომაკვდინებელი დაავადებების გამავრცელებელი დავუბრუნოთ და ასე გაუთავებლად.

პატიმრობაში მყოფი ნარკოტიკების მომხმარებელთა მკურნალობა და საზოგადოებაში რეინტეგრაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოცემული ნარკოსტრატეგიის ფარგლებში. ეს გულისხმობს, რომ პატიმრობაში მყოფ ყველა წამალდამოკიდებულ ადამიანს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ზიანის შემცირების და მკურნალობის იმავე მეთოდებზე, რაც ხელმისაწვდომია ციხის გარეთ მყოფი ადამიანებისათვის, საერთოდ ქვეყანაში. ჩვენი ვალია დავეხმაროთ თანამოძმეებს თავი დააღწიონ "ჯოჯოხეთს" და გაიკაფონ გზა მონობიდან თავისუფლებისკენ!

**კავშირი "ალტერნატივა ჯორჯია"**
**ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**
**მის: თბილისი, მიცკევიჩის 29ა, VI სართული**
**ტელეფონი: 377 550**
**ელ-ფოსტა: altgeorgia@dsl.ge**
**ვებ-გვერდი: www.altgeorgia.ge**

## სამი რუსი ოფიცრის გათავისუფლებისთვის გირაოს თანხის გადახდას აპირებენ

საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დაკავებულ რუსეთის სამ ოფიცერს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. ასეთი გადაწყვეტილება ფოთის საქალაქო სასამართლომ მიიღო. რუსი ოფიცრები ბათუმის მე-12 სამხედრო ბაზის მოსამსახურეები არიან. ისინი 22 ნოემბერს, ზუგდიდში, "კამაზის" ტიპის ავტომანქანაში მსხდომნი დააკავეს. მანქანას ქართველმა სამართალდამცველებმა კონფისკაცია გაუკეთეს. პოლიციის ინფორმაციით, რუსმა ოფიცრებმა საქართველოში სამხედრო ტვირთი უკანონოდ შემოიტანეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სამი თვის განმავლობაში ბრალდების მხარემ დაკავებულების დანაშაული უნდა დაამტკიცოს, რის შემდეგაც სასამართლო პროცესი გაიმართება. რაც შეეხება სასჯელს, რომელიც რუს ოფიცრებს ელით – სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა თავისუფლების ხუთ წლამდე აღკვეთით ისჯება.

საქართველოში რუსეთის საელჩოს პრესმდივნის ევგენი ივანოვის განცხადებით, საელჩო ზუგდიდში დაკავებული რუსი ოფიცრების გათავისუფლებისთვის ყველაფერს აკეთებს.

**"რუსული მხარე მოითხოვს დაკავებულ სამხედროებთან საელჩოს წარმომადგენლების შეხვედრის ორგანიზებას. ამასთან, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, საელჩო ყველაფერს აკეთებს, რათა დაკავებულების მიმართ აღმკვეთი ღონისძიება შეიცვალოს,"** - აცხადებს ევგენი ივანოვი.

მისივე თქმით, რუსული მხარე მზადაა, სამხედროების გათავისუფლებისთვის გირაოს სახით თანხა გადაიხადოს; მეტიც, სათანადო ნოტით საელჩომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უკვე მიმართა.

**"რუსულმა მხარემ, აგრეთვე, დასვა ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების ხელმძღვანელობისთვის დაკავებულების გადაცემის საკითხი, მათი დასჯისა და მომავალში მსგავსი ინციდენტის თავიდან აცილების მიზნით,"** - აცხადებს საელჩოს პრეს-მდივანი.

**მედიანიუსი**

## საპყრობილეში პატიმარი მოკლეს

პირველი გვერდიდან

**"მკვლელობა ბლაგვი საგნით არის ჩადენილი. როგორც ციხეში მითხრეს, ასეთი ბლაგვი საგანი იქ, თურმე, ბევრი ყოფილა. მაშინ რაღას აკეთებს ციხის ადმინისტრაცია, თუკი საშიში საგნები უმეთვალყურეოდ არის დაყრილი. როგორ შეიძლება ქვეყანაში სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმაზე ლაპარაკი მაშინ, როცა ციხეში პატიმრის სიცოცხლე დაუცველია,** - განაცხადა პრესკონფერენციაზე თუთბერიძემ და დასძინა, - **სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა არ ნიშნავს მხოლოდ ციხეების გახსნას. არ შეიძლება, სასჯელაღსრულების სისტემაში რეფორმას კოტე კემულარია და შოთა კოპაძე ატარებდნენ. ვიდრე არ მოხდება სასჯელაღსრულების სისტემის რეალური რეფორმირება, რაც აღნიშნული პირების მუშაობის პერიოდში წარმოუდგენელია, ციხეები კვლავაც დარჩება იქ მყოფი ადამიანების სიცოცხლისთვის სახიფათო ადგილად".**

აისრულებს თუ არა მონიტორინგის საბჭო დიდი ხნის სურვილს და მიაღწევს თუ არა თუნდაც სასჯელაღსრულებით დეპარტამენტის თავმჯდომარისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, მომავალი გვიჩვენებს. მანამდე კი იუსტიციის სამინისტროში სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების თაობაზე მრგვალი მაგიდა მოეწყობა, რომელსაც სწორედ იუსტიციის მინისტრი კონსტანტინე კემულარია გახსნის. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე კი მთავარი მომხსენებელი იქნება და იგი პენიტენციურ სისტემაში არსებულ პრობლემებსა და მიმდინარე რეფორმებს მიმოიხილავს. დისკუსიაში მონაწილეობას მიიღებენ იუსტიციის საბჭოს მდივანი ვალერი ცერცვაძე, გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი ვალერი გრიგალაშვილი, პარლამენტის წევრი ლევან ბეჟაშვილი, ევროსაბჭოს წარმომადგენელი იგორ გაბონი და მრგვალი მაგიდის სხვა მონაწილეები.

*24 საათი*

## დაპირისპირებული მხარეები ერთობლივი ღონისძიებების გატარებაზე ფიქრობენ

გუშინ სოფელ ჭუბურხინჯში გამართულ ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში შექმნილ რთულ კრიმინოგენულ ვითარებაზე ისაუბრეს. აფხაზური მხარე, მართალია, ადასტურებს, რომ კონფლიქტის ზონაში კრიმინალური სიტუაცია უკიდურესად დამძიმდა, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს გალის ტერიტორიაზე აფხაზი ბოევიკების ყოფნის ფაქტს. როგორც გუშინდელ შეხვედრაზე ითქვა, გალის რეგიონში მხოლოდ აფხაზური მილიციის დამატებითი ძალებია შეყვანილი და მათი რაოდენობა არ აჭარბებს წინასწარ შეთანხმებულს – 200 სამართალდამცველს. იმის გამო, რომ ამ ძალების ყოფნა სიტუაციის მეტნაკლებად სტაბილიზებას აშკარად არ ჰყოფნის, ქართულმა მხარემ აფხაზებს ერთობლივი მოქმედება შესთავაზა - კერძოდ, აფხაზი და ქართველი სამართალდამცველების მიერ ერთობლივი ანტიკრიმინალური ღონისძიებების ჩატარება. თუმცა, ამ წინადადებაზე გუშინ ქართულ მხარეს პასუხი არ მიუღია.

რაც შეეხება გალის რაიონში ნაპოვნ გვამებს, მოკლულთა ვინაობის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდება. ერთ-ერთი ვერსიით, ისინი აფხაზმა კრიმინალებმა, ფულის გამოძალვის მიზნით, კონფლიქტის ზონიდან გაიტაცეს და აწამეს. სხვა ვერსიით, აფხაზეთში აღმოჩენილია რუსეთის ორი და თურქეთის ერთი მოქალაქის გვამები, რომლებიც აფხაზეთში მანდარინის შესაძენად იყვნენ ჩასულები და მათ მკვლელობას ადგილობრივ მეწარმესთან კონფლიქტი უძღოდა წინ.

სხვათა შორის, აფხაზი სამართალდამცავები გალის რაიონის სოფელ სიდაში დაღუპულთა გვამების პოვნის ფაქტს ადასტურებენ.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ოთარ ხეციას ინფორმაციით, ამჟამად აფხაზი სამართალდამცავები აზუსტებენ, რომელი ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ ისინი.

ოთარ ხეცია უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ დაღუპულები აფხაზეთში მანდარინის შესაძენად ჩავიდნენ.

"გვამების პოვნის ადგილზე მანდარინი არ ფიგურირებს. მათი პოვნის ადგილზე არ არის საავტომობილო გზა, იქ მისვლა მხოლოდ ფეხით არის შესაძლებელი," - ასეთ არგუმენტებს იშველიებს ოთარ ხეცია თავისი განცხადების გასამყარებლად.

მისივე განცხადებით, ამჟამად აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა ახორციელებენ ღონისძიებებს მათი ვინაობის დასადგენად და დანაშაულის გასახსნელად.

გუშინ ჭუბურხინჯის შეხვედრაზევე გახდა ცნობილი, რომ საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც რამდენიმე კვირის წინ აფხაზების მიერ ცემით მოკლული დანიელ წურწუმიას საქმეს განიხილავს, აგრძელებს მუშაობას და მისი დასკვნა რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

*24 საათი*

## სასამართლო მანდატურებს, შესაძლოა, იარაღის ტარების უფლება მიენიჭოთ

სასამართლო მანდატურებს, შესაძლოა, იარაღის ტარების უფლება მიენიჭოთ.

ეს მას შემდეგ მოხდება, რაც "იარაღის შესახებ" კანონში ცვლილებები "სასამართლო სისტემის რეფორმირების შესახებ" კანონპროექტთან ერთად პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრაზე დადგება და დეპუტატთა უმრავლესობის მიერ იქნება მიღებული.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა გუშინ "იარაღის შესახებ" კანონში ცვლილებები წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც, სასამართლო მანდატურებს, რომლებიც სასამართლო სხდომათა დარბაზებში საზოგადოებრივ წესრიგს დაიცავენ, სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას იარაღის ტარების უფლება მიენიჭებათ.

ცვლილებების პროექტს საპარლამენტო ოპოზიცია აპროტესტებს. როგორც ოპოზიციის წარმომადგენელმა თეიმურაზ ნერგაძემ განაცხადა, ცეცხლსასროლი იარაღის არსებობა დახურულ სივრცეში, სადაც დამნაშავეებთან ერთად სხვა პირებიც იმყოფებიან, არ შეიძლება. ამიტომაც, კანონპროექტში მითითებული უნდა იყოს, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ნაცვლად, სასამართლო მანდატურები აღიჭურვებიან სხვა სახის იარაღით.

ბეჟაშვილის განცხადებით, შესაძლოა, სასამართლო მანდატურებს დარბაზში კრიმინალურ დაჯგუფებებთან წინააღმდეგობის გაწევა მოუწიოთ, ამიტომაც ისინი შესაბამისი აღჭურვილობით უნდა იქნენ უზრუნველყოფილნი.

აღნიშნულ კანონპროექტს კენჭს საქართველოს პარლამენტი უყრის.

*ინტერპრესნიუსი*

**საქართველოს მთავრობამ მიიღო გრანტი სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) პროექტის "ქალები ბიზნესის განვითარებაში" განსახორციელებლად მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში. პროექტის მიზანია ეკონომიკური საშუალებების მხარდაჭერა სოფლის ქალებისათვის და ასპინძის რაიონის სოფლის ოჯახების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებში, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამამ უნდა შექმნას რძის შემგროვებელი ქსელი და რძის გადამამუშავებელი ხაზი ასპინძის რაიონში.**

რძის გადამამუშავებელი სპეციალისტი იქნება პასუხისმგებელი ყველა ტექნოლოგიურ საკითხზე - დაკავშირებული რძის შეგროვებასთან და მაგარი ყველის გადამამუშავებელ ხაზთან.

**კონტრაქტის ხანგრძლივობა** - 4 თვე.

**კონტრაქტის პირველი საფეხურის ძირითადი მოვალეობა (ერთი თვე)** - 2005 წლის დეკემბერი.

რძის გდამამუშავებელი ტექნოლოგიის იდენტობა, რომლის ხარისხი და რაოდენობა იქნება ხელმისაწვდომი რაიონში; რძის გამაცივებელი მოწყობილობის, რძის გადამამუშავებელი ხაზის, ლაბორატორიული დანადგარის საჭიროება და დანადგარის მომწოდებლების იდენტობა.

**კონტრაქტის მეორე საფეხურის ძირითადი მოვალეობა (სამი თვე)** - 2006 წლის გაზაფხულიდან.

რძის გადამამუშავებელი მოწყობილობის მონტაჟი; პერსონალის და ფერმერების სწავლება; მოწყობილობის დამონტაჟების პროცესის ხელმძღვანელობა; ტექნოლოგიური პროცესის ზედამხედველობა;

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

1. ხარისხი სოფლის მეურნეობაში ან ტექნოლოგიურ მეცნიერებაში;
2. რძის ტექნოლოგის სპეციალისტად არა ნაკლებ სამი წლის მუშაობის გამოცდილება;
3. ხშირი მგზავრობა და მუშაობა ასპინძაში;
4. ასოციაციებთან მუშაობის გამოცდილებას ენიჭება უპირატესობა;
5. პრიორიტეტი ენიჭება ადგილობრივ სპეციალისტს;
6. გენდერული თანასწორობის ცოდნას ენიჭება უპირატესობა.

**განცხადებების წარმოდგენის ბოლო ვადა არის 2005 წლის 30 ნოემბერი; 15:00 სთ.**
**ფაქსი: (995 32) 92 39 74;**
**e-mail: pmu@rdpmha.org.ge**
**დავეკონტაქტებით მხოლოდ მოკლე სიაში ჩართულ კანდიდატებს.**

ახალი, ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები პროკრედიტ ბანკში 30 ნოემბრამდე!

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

გახსენით ვადიანი ანაბარი პროკრედიტ ბანკში და მიიღეთ ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად!

შემნახველი ანაბარი, ყველაზე ხელმისაწვდომი ანაბარი პროკრედიტ ბანკისგან!

- მიიღეთ ყველაზე მაღალი სარგებელი, ახლა უკვე **6%** წლიური აშშ დოლარში და **8%** ლარში გახსნილ ანაბრებზე
- გაიტანეთ და შემოიტანეთ თანხა ნებისმიერ დროს
- დაიწყეთ შეგროვება 5 ლარიდან

კამპანია 30.11.05 ძალაშია

ვადიანი ანაბარი, ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი!

- მიიღეთ **10%** წლიური დოლარში და **13,5%** ლარში გახსნილ ანაბრებზე
- ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად ანაბრებზე 500 დოლარიდან!

პროკრედიტ ბანკი, ბანკი რომელსაც ენდობიან მსოფლიოს სამ კონტინენტზე

unicef

## ყველა ბავშვი ოჯახურ გარემოში უნდა იზრდებოდეს

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითრებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. სამწუხაროდ, დღესათვის საქართველოს ინსტიტუციურ დაწესებულებებში 5000-ზე მეტი მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვი იმყოფება.

ბავშვთა სახლი, რომელიც გარკვეულ მიზეზთა გამო სხვადასხვა ასაკისა და ბედის მქონე პატარას ნავსაყუდელად იქცა, ვერასოდეს გახდება მათი სრულფასოვანი განვითარებისთვის შესაფერისი გარემო, რამდენადაც კარგი პირობები არ უნდა იყოს იქ შექმნილი. კვლევებით დადგენილია, რომ ინსტიტუციაში გატარებული ყოველი 3 თვე იწვევს ბავშვის განვითარების შეფერხებას სავარაუდოდ ერთი თვით. განვითარებაში ჩამორჩენის რისკი მით მეტია, რაც უფრო ხანგრძლივი დროით იმყოფება ბავშვი ინსტიტუციაში. ა.შ.შ-ს ქ. ბოსტონის საერთაშორისო გაშვილების ცენტრის მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ კეთილმოწყობილ და კვალიფიციური კადრით დაკომპლექტებულ ინსტიტუციაშიც კი ბავშვთა 30-40%-ს აღენიშნება ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხება, მეტყველების დარღვევა და სხვადასხვა სასიცოცხლო უნარის დეფიციტი.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის მიზეზია ინსტიტუციებში დამკვიდრებული ცხოვრების სტერეოტიპული სტილი. ბავშვი აკეთებს იმას, რასაც სხვები აკეთებენ. მას არ აქვს ცხოვრების ინდივიდუალური რიტმი, არ იცის, რა უყვარს და რა არა, არ აქვს არჩევანის საშუალება. ბავშვს არ უყალიბდება საზოგადოებაში ცხოვრებისათვის აუცილებელი ელემენტარული უნარ-ჩვევები. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ინსტიტუციის უარყოფითი გავლენა ბავშვის როგორც ფიზიკურ, ისე სოციალურ განვითარებაზე ჯერ კიდევ ახალშობილობიდანვე იწყება. სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში ყალიბდება ბავშვისთვის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილება - ნდობა სამყაროს მიმართ. იმის მიხედვით თუ როგორ პასუხობს უფროსი პატარას მოთხოვნილებებს, შეიძლება განვითარდეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულება - ნდობა ან უნდობლობა. ინსტიტუციაში არ ხდება ბავშვის უმეტესი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. სწორედ ამიტომ, ბავშვი კმაყოფილია იმ მცირედითაც, რასაც სთავაზობენ, კარგავს ინიციატივას და ნდობას ყველას მიმართ. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია ბავშვის მზრუნველ ოჯახში მოთავსება რაც შეიძლება მცირე ასაკიდან და ინსტიტუციებსა და მომვლელებს შორის მისი "მოგზაურობის" მინიმუმამდე დაყვანა.

სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ თავის პატარა მოქალაქეებს ააცილოს ინსტიტუციონალიზაციის, ანუ ბავშვთა სახლებში მოთავსების საფრთხე.

ბავშვთა სპეციალური დაწესებულებები, გარდა იმისა, რომ გამანადგურებელ ზემოქმედებას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, აღზრდის საკმაოდ ძვირადღირებული საშუალებაცაა. კვლევებმა გვიჩვენა, რომ ბავშვთა შენახვა სპეციალურ დაწესებულებებში სამჯერ უფრო ძვირია ვიდრე შვილობილობის სისტემა და თხუთმეტჯერ ძვირი, ვიდრე ოჯახის დახმარება.

დეინსტიტუციონალიზაცია სწორედ ბავშვების სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებიდან გამოყვანასა და მათ ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობას ითვალისწინებს. დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამა "ბავშვი და ოჯახი" საქართველოში 1999 წლიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდისა (იუნისეფი) და ბრიტანული ორგანიზაცია "ევრიჩაილდის" დახმარებით. მისი მიზანია ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში მყოფ ბავშვებზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების დანერგვა საქართველოში და ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკის სამსახურის ჩამოყალიბება. პროგრამა რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება: მიტოვების პრევენცია (ოჯახის დახმარების გზით), რეინტეგრაცია (ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება), შვილობილობა (მიმღებ ოჯახში მოთავსება) და შვილად აყვანა. დღეისათვის ბავშვთა სახლებიდან ოჯახებში უკვე 800-ზე მეტი ბავშვია დაბრუნებული.

დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამა ყოველწლიურად ფართოვდება და უკვე საქართველოს მთავრობის მიერ პრიორიტეტულ მიმართულებად იქნა აღიარებული. ბავშვების ოჯახებში დაბრუნების აუცილებლობა უკვე ყველასათვის ნათელია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნული პროცესი არანაირად არ გულისხმობს ბავშვთა სახლების ერთბაშად დახურვას. რეფორმის შედეგად დაგეგმილია ბავშვთა სახლების ოპტიმიზაცია და მათი ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ ალტერნატიულ ცენტრებად გარდაქმნა. ყველაზე მთავარი ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაა, რომელიც ბავშვის სწორედ მზრუნველ ოჯახურ გარემოში აღზრდას ითვალისწინებს.

ოჯახში მოხვედრის შემდეგ ბავშვის განვითარების სწრაფი პროგრესი იწყება (2 თვის ჩამორჩენის აღდგენა 1 თვეში ხდება). ეს წინსვლა უფრო თვალსაჩინო იქნება, თუ ბავშვი ადრეულ ასაკში დატოვებს ინსტიტუციას. აქედან გამომდინარე, ოჯახი თავისი პატარა თუ დიდი პრობლემებით, სიძნელეებითა და ზოგჯერ მატერიალური გასაჭირითაც, არის ის ერთადერთი გარემო, სადაც ბავშვი უნდა იზრდებოდეს.

გახსოვდეთ, ყველა ბავშვს სჭირდება სიყვარული, ყურადღება, მისი სრულფასოვანი განვითარების ხელშეწყობა. მოდით, ყველამ ერთად ვიზრუნოთ ჩვენი პატარების ბედნიერი მომავალისთვის.

## განცხადება

სს "საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანია" 16 დეკემბერს 12 საათზე ატარებს პარტნიორთა საერთო კრებას შემდეგი დღის წესრიგით:

1) სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 2004 წლის მუშაობის შესახებ;
2) გენერალური დირექტორის ანგარიში 2004 წლის მუშაობის შესახებ;
3) 2004 წლის შედეგების შეფასება;
4) საწესდებო კაპიტალში ცვლილებები;
5) საზოგადოების მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების დაფუძნება.

**პარტნიორთა საერთო კრება ჩატარდება კომპანიის ოფისში მისამართზე: ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. N24.**

**ახალ მისამართზე გადასვლის გამო გაცნობებთ, რომ ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში არ იმუშავებს ამა წლის 23 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე. ამა წლის 2 დეკემბრიდან საელჩო გაიხსნება შემდეგ მისამართზე: თელავის ქ. N 20, "სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი" (შესასვლელი უკანა მხრიდან, ბრიტანეთის საელჩოს ყოფილ ტერიტორიაზე)**

**BP-სა და მისი BTC/SCP პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის (CIP-E) ფარგლებში, რომელსაც ნავთობსადენის აღმოსავლეთ მხარეს არასამთავრობო ორგანიზაციების კონსორციუმი "მერსი ქორის" ხელმძღვანელობით ახორციელებს, მთელი რიგი პროექტი სრულდება. CIP-E -ს ნაწილია გაუმჯობესებული სკოლების პროგრამა, რომლის მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის მხარდაჭერა.**

**კერძოდ, "მერსი ქორმა" ორგანიზება გაუწია რუსთავის, მარნეულის, გარდაბნის და თეთრი-წყაროს სკოლებში მთელი რიგი ტრენინგების ჩატარებას.**

განათლების რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი სამეურვეო საბჭოების შექმნაა, რაც გულისხმობს სკოლის დირექტორების ერთპიროვნული მართვიდან ახალ მეთოდზე გადასვლას. აქედან გამომდინარე, სემინარების თემა "სამეურვეო საბჭო" გახლდათ.

სემინარები ასოციაცია "სამეურვეო საბჭო"-ს ტრენერებმა წარმართეს.

ჯამში სულ 82 ადამიანი მომზადდა: 41 მშობელი და 41 მასწავლებელი. მნიშვნელოვანი იყო სემინარების შემდგომი ეტაპი, როდესაც "კურსდამთავრებულებმა" თავიანთ თემებში საინფორმაციო სახის შეხვედრები ჩაატარეს. მიღებული ცოდნა თემის სხვა წევრებს - მასწავლებლებს, მშობლებს და უფროსკლასელებს გაუზიარეს.

ოქტომბერში სერტიფიცირებულმა მასწავლებლებმა გარდაბნის, თეთრი-წყაროს და მარნეულის რაიონის ქართულ, რუსულ და აზერბაიჯანულ სკოლებში იგივე ტიპის საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარეს. ყველა საინფორმაციო შეხვედრების მონაწილეს დაურიგდა "მერსი ქორის" მიერ მომზადებული ბუკლეტები სამეურვეო საბჭოს სტრუქტურის, ძირითადი ფუნქციების და უფლებამოსილების შესახებ.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიში N000115007, კოდი 220101107, ხელმეორედ აცხადებს ღია ტენდერს N12 ზონაში, (ლოტი-12, დაყოფილი ორ ქველოტად) განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| N | რაიონების დასახელება | გზის სიგრძე კმ. |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| | ზონა N12 (ლოტი-12) | |
| | ქველოტი - 12-1 | |
| 1 | ლენტეხის რაიონში განფენილი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები | 164.7 |
| | ქველოტი-12-2 | |
| 2 | ცაგერის რაიონში განფენილი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები | 206.5 |

**2.** მიწოდების ვადა - 2006 წლის 1 იანვრიდან ---- 2006 წლის 31 დეკემბრამდე

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების და გზების ექსპლოატაციის სამმართველოებში..

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 9 დეკემბრის $10^{00}$ საათიდან 2005 წლის 12 დეკემბრის $12^{00}$ სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, 13 სართული, საერთო განყოფილება. წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებზე მითითებული უნდა იყოს დაინტერესებულ პირს რამდენ ლოტზე სურს ტენდერში მონაწილეობის მიღება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

| N | დასახელება | ქველოტი 12-1 | ქველოტი 12-2 |
|---|---|---|---|
| 1 | ბულდოზერი | 1 | 1 |
| 2 | გრეიდერი | 1 | 1 |
| 3 | ექსკავატორი პნევმო თვლებზე | 1 | 1 |

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღნუსხულობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

-- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

-- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. 5

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

-- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 16 დეკემბრის $10^{00}$ საათიდან 2005 წლის 19 დეკემბრის $17^{00}$ საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ ასევე ორივე ქველოტზე. ორივე ქველოტზე შესაძლებელია, როგორც ერთი გამარჯვებულის, ასევე ცალ-ცალკე ქველოტებზე თითო გამარჯვებულის გამოვლენა.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა თითოეულ ქველოტზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიში N000115007, კოდი 220101107), ხელმეორედ აცხადებს ღია ტენდერს (ორ ლოტად) 2006 წლის განმავლობაში დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

მომსახურებას ექვემდებარება:

ლოტი-1

| N | ავტომანქანის დასახელება | რაოდენობა | საშუალო წლიური გარბენი. (კმ.) |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | "ნისან ტერანო" | 1 ცალი | 40 000 - 50 000 |
| 2 | "ვოლვო" | 1 ცალი | 30 000 - 35 000 |
| 3 | "ტოიოტა ლენდკრუიზერი" | 1 ცალი | 25 000 - 30 000 |

ლოტი-2

| N | ავტომანქანის დასახელება | რაოდენობა | საშუალო წლიური გარბენი. (კმ.) |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ნივა | 3 ცალი | 35 000 - 40 000 (თითოეულ მანქანაზე) |

ტექნიკური მომსახურების მიზანია მანქანის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭირო ღონისძიებების ჩატარება მწარმოებლის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.

თავისი მოცულობის და პერიოდულობის მიხედვით ტექნიკური მომსახურება განისაზღვრება, როგორც მიმდინარე მომსახურება და საგეგმო-პროფილაქტიკური:

- მიმდინარე მომსახურება მოიცავს ყველა იმ სამუშაოს შესრულებას, რომელიც უზრუნველყოფს მანქანის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მოყვანას მისი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის.

- ავტომანქანის საგეგმო-პროფილაქტიკური მომსახურება (ტმ-1, ტმ-2, ტმ-3 და ა/შ) ხორციელდება 10000 კმ გარბენის პერიოდულობით ყველა ცალკეულ ავტომანქანაზე ექსპლუატაციის დაწყებიდან გარბენილი კილომეტრების გათვალისწინებით მწარმოებლის მიერ მითითებულ ტექ. მომსახურეობის პირობების მოთხოვნების შესაბამისად და აგრეთვე მოიცავს ყველა იმ მომსახურებას, რასაც მოიცავს მიმდინარე მომსახურება.

ა. ა/მანქანის მთლიანად და საჭიროების შემთხვევაში ცალკეული აგრეგატებისა და დეტალების რეცხვა, დასუფთავება (ქიმწმენდის გარდა);

ბ. საპოხ-საცხები მასალების გამოყენებით შესასრულებელი შესაზეთი სამუშაოები;

გ. დაზიანებული საბურავების შეკეთება, გამოცვლა, ბალანსირება; ა/მ თვლების ნახარისა და აცდენის შემოწმება, რეგულირება;

დ. მანქანების ტექნიკური მდგომარეობის კომპიუტერული დიაგნოსტიკა VIN კოდების შესაბამისად;

ე. სავალი ნაწილის დიაგნოსტიკა, შემოჭერა-სამაგრი სამუშაოების შესრულება, მოცვეთილი და შემდგომი ექსპლუატაციისათვის უვარგისი წუნდებული დეტალების გამოცვლა, სარეგულირებო და აგრეთვე გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულება.

ე. ელექტროობის, საწვავის მიწოდების, საწვავის წვის (კარბურატორების, ტუმბოების, შეშხაპუნების სისტემების ტურბო კომპრესორის) დიაგნოსტიკა, შეკეთება, რეგულირება, გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულება.

ზ. ბენზინზე და დიზელის საწვავზე მომუშავე ა/მ ძრავების მომსახურება: დიაგნოსტიკა, რეგულირება, სავალდებულო შესაკეთებელი და გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულება (საშუალო და კაპიტალური შეკეთების გარდა).

თ. სამუხრუჭე სისტემის დიაგნოსტიკა, შეკეთება, რეგულირება.

ი. საჭის მექანიზმის, ჰიდროგამაძლიერებლის ჩათვლით, დიაგნოსტიკა, შეკეთება, რეგულირება

კ. ავტომატური და მექანიკური გადაცემათა კოლოფისა და სიმძლავრის გამანაწილებელი კოლოფის დიაგნოსტიკა, რეგულირება, გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულება (საშუალო და კაპიტალური შეკეთების გარდა)

ლ. მომსახურებისათვის და გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო სათადარიგო ნაწილების და საცხებ-საპოხი მასალების მარაგი აღნიშნული ა/მ მარკების მიხედვით

**2**. მიწოდების ვადა - 2006 წლის 1 იანვრიდან --- 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე ღირებულების გარეშე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 9 დეკემბრის $10^{00}$ საათიდან 2005 წლის 12 დეკემბრის $12^{00}$ სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება. წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში მითითებული უნდა იქნას დაინტერესებულ პირს რამდენ ლოტზე სურს ტენდერში მონაწილეობის მიღება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

ცნობას მომსახურეობის შესასრულებლად საჭირო ხელსაწყო-დანადგარების, დიაგნოსტიკური აპარატურის შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვება და ა.შ) შემდეგი აღჭურვილობა. 3

| N | მოწყობილობა-დანადგარის სახე | აღნუსხულობა, მოდელი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი,ნახმარი ,მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შეძენილი იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ა/მანქანის მთლიანად და ცალკეული აგრეგატებისა და დეტალების გასარეცხი მოწყობილობა | | | | |
| 1.1 | | | | | |
| 1.2 | | | | | |
| 2 | საპოხ-საცხები მასალების გამოყენებით შესასრულებელი შესაზეთი სამუშაოებისათვის საჭირო სპეციალური ხელსაწყოები | | | | |
| 2.1 | | | | | |
| 2.2 | | | | | |
| 3 | დაზიანებული საბურავების შესაკეთებელი და ბალანსირების დანადგარები | | | | |
| 3.1 | | | | | |
| 3.2 | | | | | |
| 4 | სავალი ნაწილის შესაკეთებლად და რეგულირების სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ხელსაწყოები | | | | |
| 4.1 | | | | | |
| 4.2 | | | | | |
| 5 | ელექტროობის, კარბურატორებისა და შეფრქვევის სისტემების შესაკეთებელი და რეგულირების სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ხელსაწყოები | | | | |
| 5.1 | | | | | |
| 5.2 | | | | | |
| 6 | ძრავების მომსახურებისათვის, რეგულირების და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ხელსაწყოები | | | | |
| 6.1 | | | | | |
| 6.2 | | | | | |
| 7 | სათადარიგო ნაწილების და საცხებ-საპოხი მასალების მარაგი ტექ მომსახურების შესასრულებლად აღნიშნული მარკების და მიხედვით | | | | |

-- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე პერსონალის საერთო და ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. 4

| სპეციალობა | მუშაობის საერთო გამოცდილება | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

-- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მომსახურების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. 5

| შესასრულებელი მომსახურების ჩამონათვალი | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| | | |
| | | |

4.2 ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას წერილობითი სახი)

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს;

-- ინფორმაციას იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ;

5. მონაწილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და ცნობები, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებისას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

8. იურიდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 16 დეკემბრის $10^{00}$ საათიდან 2005 წლის 19 დეკემბრის $17^{00}$ საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ ასევე ორივე ლოტზე. ორივე ლოტზე შესაძლებელია, როგორც ერთი გამარჯვებულის, ასევე ცალ-ცალკე ლოტზე თითო გამარჯვებულის გამოვლენა.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, თბილისი, 0160. გაგარინის ქ. 29 , სართული 13, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო, საკონტაქტო ტელეფონები 31 30 34 შალვა მატატაშვილი.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს თბილისში განლაგებული შენობა-ნაგებობის ფასადზე 1339 მ2 აივნების შუბლებისა და საშრობების კომპოზიციური ალუბონდის (წითელი, ლურჯი, ღია მწვანე) მასალით მოპირკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 31 დეკემბრისა.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 12 დეკემბრის 12 საათიდან 13 დეკემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

· ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

· ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

· ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

· სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**4.2.ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის(ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

**4.3.როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ:

| N | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოს ტიპი | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

- ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ:

| N | მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრების/იჯარით აღებული (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ:

| თანამდებობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება, წელი) |
|---|---|---|---|
| | | | |

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 14 დეკემბრის 12 საათიდან 15 დეკემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან ნუგზარ კალაძე-საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია.*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6 საფოსტო ინდექსი 380079; აცხადებს ღია ტენდერს დასასვენებელ და საცხოვრებელ კომპლექსში მზა ფართის შესყიდვაზე.

შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერილობაა: მდებარეობა - ხელვაჩაურის რაიონში არსებული ტერიტორია ზღვის სანაპიროდან მაქსიმუმ 300 მეტრიან რადიუსში; ფართი მინიმუმ 350 კვ.მ. მაქსიმუმ 450 კვ.მ; მდგომარეობა - მზა ფართში უნდა არსებობდეს: 1) ტიხრები გალესილი წინა სამღებრო სამუშაოების დონეზე; 2) წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის საერთო დგარები, სავენტილაციო არხები; 3) ელექტრო გაყვანილობა კედელში ჩაშენებული და ელექტრო არმატურა დაყენებული; 4) მზა ფართის გარე პერიმეტრი უნდა იყოს შემოზღუდული ფანჯრებით და ოთახებში შესასვლელი კარებები ჩასმული.

შესასყიდი საქონელი სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს და წარმოდგენილ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 დღისა, ასევე გააჩნდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია. მათ შორის: (მზა ფართის მფლობელობის საკუთრების შესახებ საჯარო რეესტრიდან ამონაწერი)

2. საკვალიფიკაციო მონაცემების მიღება ქართულ ენაზე, დაიწყება 2005 წლის 9 დეკემბერს და დამთავრდება არაუგვიანეს 2005 წლის 14 დეკემბერს 17.00 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6 საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი", სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ეკონომისტთან ბატონ შ. ქაჯაიასთან:

3. საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" თანახმად, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირმა უნდა წარმოდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- სახელმწიფო ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობები რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, გაკოტრების, სანაციის საქმეთა არარსებობის შესახებ (შესაბამისად, პირის რეგისტრაციის ადგილის რაიონული სასამართლოდან);
- ცნობა ქონებაზე ყადაღის საქმის არარსებობის შესახებ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
- ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

5. ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

- ცნობა, რომ მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);
- ცნობა, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (პირის საცხოვრებელი ადგილის რაიონული სასამართლოდან)

6. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლის სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით.

7. "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად პრეტენდენტებად არ დაიშვებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები:

ა) არ შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან ყალბი აღმოჩნდება;

ბ) არაზუსტი ან არასრული აღმოჩნდება, ან ამ მონაცემებში მექანიკური შეცდომაა დაშვებული და მათი წარმომდგენი პირი უარს აცხადებს დაშვებული შეცდომის (უზუსტობის) გასწორებაზე ან მონაცემების საჭირო ინფორმაციით შევსებაზე ან/და არ შეუძლია მისი გასწორება.

9. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებლის 500 ლარის ოდენობის გადახდის შემდეგ, ბანკში "რესპუბლიკა" ანგარიშის N700198; კოდი 220101757; 16.12.05 დან 20.12. 2005-ის 17 სთ.მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტი"-ის ოფისში, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ეკონომისტთან ბატონ შ. ქაჯაიასთან.

10. სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 23 დეკემბერი დღის 15.00 სთ-მდე,

11. სატენდერო წინადადებების გახსნა, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე მოხდება 2005 წლის 23 დეკემბერს დღის 15.00 სთ-ზე, პრეტენდენტი პირების თანდასწრებით.

დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და პაკეტის გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

პრეტენდენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

13. აღნიშნულ ღია ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

**ყველა სახის ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს ბ-ნ შალვა ქაჯაიას მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6 ტელეფონი: 24 10 31 ; 24 მობ. 8 99 94 67 97.**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე:

**ლოტი N1**

| | შესყიდვის ობიექტის დასახელება | შესყიდვის ობიექტის აღწერილობა | | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | პერსონალური კომპიუტერი | CASE | ATX P4 300W | 90 ცალი |
| | | K/B | STANDARD PS/2 MM KEYS | |
| | | MOUSE | PS/2 OPTICAL | |
| | | FDD | 1,44MB | |
| | | M/B | i848/478pin/FSB800/DDR400/Video/LAN10/100 | |
| | | CPU | CEL D325 2,53GHz/478 BOX | |
| | | RAM | DDR 512MB PC3200 | |
| | | HDD | 80 GB 7200rpm | |
| | | CD-ROM | X52, IDE | |
| | | SOUND | ON BOARD | |
| | | SPEAKERS | ACTIVE | |
| | | MONITOR | 17" FLAT | |
| | | UPS | 600VA | |

**ლოტი N2**

| შესყიდვის ობიექტის დასახელება | შესყიდვის ობიექტის აღწერილობა | რაოდენობა |
|---|---|---|
| პრინტერი | A4 600x600dpi/5000 page per mounth/14ppm/LPT/usb | 90 ცალი |

/ზემოაღნიშნული საქონელი მოწოდებულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 2006 წლის 15 იანვრამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N32 (შემოსასვლელი არსენას ქუჩიდან). ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში./

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2005 წლის 12 დეკემბრიდან 13 დეკემბრის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან.) ოთახი N408.

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1. იურიდიული პირებისათვის:

■ ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);

■ ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);

■ ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი პირები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან);

2.2. ფიზიკური პირებისათვის:

■ ცნობა ქმედითუნარიანობის შესახებ (შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან);

■ ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (შესაბამისი სასამართლოდან);

■ ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის (შსს საინფორმაციო ცენტრი);

3. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

4. საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვის შედეგები მონაცემების წარმომდგენ ყველა პირს წერილობით ეცნობება, საკვალიფიკაციო მონაცემების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

5. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს 2005 წლის 14 დეკემბრიდან 16 დეკემბრის 15 სთ-მდე, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ;

6. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: , საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან) ოთახი N 408.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: თამრიკო მესტვირიშვილი, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 93.56.96.

*სატენდერო კომისია*

# სამუშაო ადგილის მომსახურე საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინერი

კომპანია "BP"-ს მილსადენის პროექტების ფარგლებში და "BP"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს სამუშაო ადგილის მომსახურე საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინრის მოკლევადიანი თანამდებობის დასაკავებლად. სამუშაო ადგილის მომსახურე IT ინჟინერი წარმოადგენს საქართველოში "BP"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "BP"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა**

სამუშაო ადგილის მომსახურე IT ინჟინერი პასუხისმგებელია, დახმარება აღმოუჩინოს კომპანიაში მომუშავე პერსონალს სხვადასხვა სახის პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის მიზნით, როგორიცაა Microsoft Windows 2000, Microsoft Office 2000 Professional, მათ შორის Word, Excel, Power Point და MS Access.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა**

IT ინჟინრის ზოგადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

1. კომპანიის უსაფრთხოების მართვის სისტემის განხორციელება და დაცვა, უსაფრთხოების მაღალი კულტურის დამკვიდრება.
2. სამუშაო ადგილის ოპერაციული სისტემისა და ადგილობრივად ინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება.
3. უახლესი ვერსიის კლიენტ-პროგრამების ინსტალაცია, ტესტირება, კონფიგურაცია და მომსახურება
4. ახალი და არსებული პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფის გადაადგილება, ინსტალირება და კონფიგურირება საჭიროებისამებრ ყველა სამუშაო ადგილზე.
5. სამუშაო ადგილებზე ოპერაციული სისტემების თავდაპირველი ჩატვირთვა, ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და მოგვარება.
6. დახმარების აღმოჩენა ჯგუფის წევრებზე პროგრამებით სარგებლობაში და ოფიციალური და არაფორმალური ტრეინინგების ჩატარება.
7. დაეხმაროს მომხმარებლებს ავტომატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში საჭიროებისამებრ სხვა ჯგუფებთან შეთანხმებით.
8. განახორციელოს სხვა მოვალეობები საჭიროებისამებრ.

**გამოცდილება და განათლება**

სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

1. სულ მცირე 3 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის სფეროში
2. ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების უმაღლეს დონეზე ფლობა
3. უნდა გააჩნდეს მოტივაცია და ოფისის მომთხოვნ და დინამიურ გარემოში მუშაობის უნარი
4. ადამიანებთან კომუნიკაციის შესანიშნავი უანრ-ჩვევები
5. პროექტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, დამატებითი სამუშაოს შესრულებისათვის მზადყოფნა
6. სისტემატიურად მოწოდებული ტექნიკური ინფორმაციის ათვისების და ეფექტურად გამოყენების უნარი
7. **დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება:** სტრუქტურული და ყოველდღიური ზედამხედველობის გარემოში მუშაობის უნარი.
8. **ზეგავლენა:** პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე.
9. **სამუშაოს კომპლექსურობა:** სხვადასხვა სახის დავალებების შესრულება სხვა თანამშრომლებთან ხშირი კონსულტაციის გარეშე.
10. **აუცილებელი უნარ-ჩვევები:** შესასრულებელი სამუშაოსადმი რაციონალური და ორგანიზებული მიდგომა. საკუთარი სამუშაოს დაგეგმვის, განაწილების და კონტროლის უნარი. კოლეგებთან და ზედამხედველებთან ეფექტური ურთიერთობის დასამყარებლად საკმარისი ზეპირი და წერილობითი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები.
11. **საინფორმაციო ტექნოლოგიების ზოგადი ცოდნა:** IT ინჟინერმა უნდა გაიაროს საწყისი მომზადება მის სამუშაოსთან დაკავშირებული მეთოდიკის, პროცედურების, საშუალებების, მოწყობილობის და სტანდარტების ეფექტურად გამოყენების მიზნით.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც მიიღებთ იმავე მისამართზე. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2005 წლის 30 ნოემბერი, ოთხშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38
BP საქართველო
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
**კადრების განყოფილება**

bp btc SCP South Caucasus Pipeline

# „გვახსოვს!“

როკ-ჰიმნი აფხაზეთზე



ნინო ჩიმაკაძე

ნოემბრის დასაწყისში რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში ერთი საინტერესო, იდეურად დატვირთული სიმღერის პრეზენტაცია შედგა. სიმღერა აფხაზეთის ომში მონაწილე ადამიანებს ეძღვნება, მათ, ვინც დაიღუპა და მათაც, ვინც იბრძოდა და ცოცხალი გადარჩა. მუსიკალურ პროექტში ბევრი ქართველი როკ-მუსიკოსი მონაწილეობდა. სიმღერა მძიმე როკის ჟანრშია შესრულებული. ვიდრე უშუალოდ დეტალებზე გადავიდოდეთ, გიამბობთ, როგორ დაიბადა იდეა და ვის ეკუთვნის ის.

27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, გალერეა "კოპალაში" გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით "გვახსოვს", რომელიც აფხაზეთის თემას ეხებოდა. გამოფენის ორგანიზატორი იყო საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფი "მიგ-აფხაზეთი" და მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი დიმიტრი ყიფიანი. ის აფხაზეთის ომის მონაწილე და ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერია. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ამერიკელი ფოტოგრაფის მალკოლმ ლინტონის მიერ გადაღებული ფოტოები, რომლებზეც სოხუმის დაცემის დღეების უნიკალური კადრებია აღბეჭდილი. აღსანიშნავია, რომ ეს ფოტოები კანადაში მცხოვრებმა ქართველმა ტატო ნიკოლაძემ შეიძინა ამერიკაში, შემდეგ კი სწორედ მისი დახმარებით მოხერხდა მათი საქართველოში გამოგზავნა. სწორედ ამ გამოფენის ნახვის შემდეგ რადიო "მწვანე ტალღის" წანყვანს გაგა გობრონიძეს დაებადა იდეა, შეექმნათ ამ თემაზე სიმღერა, რომელსაც ერთგვარი ჰიმნის სახე ექნებოდა. იდეა დიმიტრი ყიფიანს გააცნო. მისი თანხმობის შემდეგ კი ერთად დაიწყეს ზრუნვა პროექტის განხორციელებისთვის. დაუკავშირდნენ როკ-მუსიკოსებს და გაუზიარეს იდეა. მუსიკოსები სიამოვნებით დათანხმდნენ. ასე შეიქმნა სიმღერა, რომელსაც ასევე We Remember, ანუ "გვახსოვს" ეწოდება. მას ავტორები "გმირთა ღირსების ჰიმნსაც" უწოდებენ.

სიმღერა ჩაიწერა ირაკლი ზიბზიბაძის (ზიბო) სტუდიაში. მუსიკა ეკუთვნის ვახტანგ ცხვიტავას, ტექსტი – კოტე გიგიტაშვილს, ვოკალის ძირითად პარტიას ასრულებს ჯგუფ "გზაჯვარედინის" ვოკალისტი სოსო უძელაშვილი. მღერიან და ინსტრუმენტებზე უკრავენ: შაკო ოქუაშვილი, ლევან კაპანაძე, სერგო შენგელია, ვახტანგ ცხვიტავა, ლევან ბეიტრიშვილი, ირაკლი ზიბზიბაძე, ვასო დოიაშვილი. სიმღერის ჩაწერაში მონაწილეობა მიიღო ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორმა ალეკო ნაცვლიშვილმა, რომელმაც წაიკითხა ნაწყვეტები 90-ე ფსალმუნიდან. სიმღერა სწორედ ამ ფსალმუნით იწყება და მთავრდება, რაც ძალიან შთამბეჭდავია. რაც შეეხება ტექსტს, მისი შინაარსი ასეთია: "არასდროს დაგვავიწყდება ის დღეები, ის ტკივილი... ყოველთვის გვემახსოვრება ჩვენი გმირები. მოვა დრო და ისევ დავბრუნდებით იქ!" ტექსტი ინგლისურ ენაზეა დაწერილი. პროექტის ავტორებს სურდათ სიმღერა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოესმინათ. მათ არაერთ საიტზე გაგზავნეს ის და, როგორც ამბობენ, საკმაოდ დიდი გამოხმაურება იყო. სიმღერა ქართულ ენაზეც ჩაიწერება. ახლო მომავალში იგეგმება ვიდეოკლიპის გადაღებაც. ასევე დაგეგმილია როკ-მარათონის ჩატარება თბილისის ქუჩებში, რომელსაც დოკუმენტური ფილმის სახით გადაიღებენ. აღსანიშნავია, რომ სიმღერა გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს.

სიღერის ტექსტში არ არის საბრძოლო მოწოდება, თუმცა არც პაციფიზმსა და შემგუებლობაზეა საუბარი. აფხაზეთი ყველა ჩვენგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ის აუცილებლად უნდა გახდეს ისევ საქართველოს ნაწილი. ამას ჩვენი ოცსაუკუნოვანი ისტორია მოითხოვს. თუმცა არა მგონია, ამისთვის კიდევ ერთი სისხლისღვრა ღირდეს. და საერთოდ, 21-ე საუკუნეში ალბათ დროა, ომები სამუდამოდ დავივიწყოთ. დარწმუნებული ვარ, აფხაზეთის პრობლემა მშვიდობიანადაც შეიძლება მოგვარდეს, თუ ამაზე სერიოზულად იმუშავებს ჩვენი მთავრობა და, რაც მთავარია, ჩვენც, რიგითი მოქალაქეები. გამოსავალი ყოველთვის არსებობს, მთავარია იპოვო ის.

# ტარკოვსკის რუბლიოვი და რუსულ-ქართული საუბრები



გუშინ საღამოს კინოთეატრ "რუსთაველში" ალექსეი ტარკოვსკის კინოშედევრების თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ. საღამოს, რომლის გენერალური სპონსორიც ქალბატონი ვიქტორია შტორმი გახლდათ, "ხელოვანი და დრო – ანდრეი ტარკოვსკი" დაარქვეს. ფილმის ნახვის გარდა, მაყურებელი რუსეთის სახალხო არტისტს ნიკოლაი ბურლიაევს შეხვდა.

"წუხელ სიზმარი ვნახე. ვსეირნობდი მოსკოვში, პოლიანკას ქუჩაზე. იქაურობა სავსე იყო ადამიანებითა და მანქანებით. უეცრად დავინახე პროცესიის ცენტრიდან მომავალი არაჩვეულებრივი ძროხა. მას მუქი ყავისფერი კაბა ეცვა და თავი ზევით ჰქონდა აღმართული. რქები ლირას მიუგავდა, თვალები ღრმად ჰქონდა ჩამჯდარი, ძალიან ადამიანური თვალები... მომიახლოვდა. მე მოვეფერე. შემდეგ ქუჩა გადაკვეთა და ნელ-ნელა გაუჩინარდა. მე ახლაც ვგრძნობ მის სურნელს, სიძლიერისა და სითბოს სურნელს, სურნელს სიცოცხლისა და ბედნიერებისა..." ეს ანდრეი ტარკოვსკის ესიზმრა, უკვე 1980 წელს, პარიზში. ექვსი წლით ადრე, სანამ უკანასკნელ ინტერვიუს მისცემდა ფრანგ ჟურნალისტებს, სანამ საკუთარი ჟურნალის ბოლო ნომერს გამოსცემდა და ბოლო სიზმრებს ჩაინიშნავდა. ეს პატარა ტექსტი რეჟისორმა თოთხმეტი წლის შემდეგ დაწერა, მას შემდეგ, რაც "ანდრეი რუბლიოვი" გადაიღო – ფილმი, რომლითაც ის ევროპული კინოხელოვნების კრიტიკის ფავორიტად იქცა, ფილმი, რომელიც საბჭოთა კავშირში აიკრძალა, ავტორი კი იმ რეჟისორად აქცია, რომელმაც "მატერიალურსა და სულიერს შორის დაიწყო ბრძოლა, ღვთისგან შექმნილისა და საზოგადოების მიერ შექმნილი შედევრების გარჩევა დაიწყო, ისტორიასა და ინდივიდებს ჩაუსაფრდა. რეჟისორი, რომელმაც რუსი ადამიანის ფენომენის ლუსტრაციით დაიწყო და ზოგადი, საერთო და პირობითი ენა აითვისა, და ასე შეიქმნა ტარკოვსკი. გამორჩეული ფიგურა მსოფლიო კინემატოგრაფში."

სანამ რეჟისორი რუსი ხატმწერის კინოპორტრეტს შექმნიდა, იყო "ივანეს ბავშვობა", რომელმაც 1962 წელს ვენეციის კინოფესტივალზე "ოქროს ლომი" მოიპოვა. "ანდრეი რუბლიოვის" შემდეგ კი რუსეთში გადაღებული კიდევ სამი ფილმი: "სოლარისი" - კანის ფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი, "სარკე" და "სტალკერი". უკვე იტალიასა და შვეიცარიაში კი "ნოსტალგია" და "მსხვერპლი" გადაიღო. ფილმები, რომლებიც არაერთი პრიზითა და აღფრთოვანებული შეფასებებით დაჯილდოვდა.

გუშინ საღამოს "რუსთაველში" კიდევ ერთხელ ალაპარაკდნენ რუსულ კინოსა და ზოგადად რუსულ ხელოვნებაზე. მრავალი ციტატა გაიხსენეს, რათა ტარკოვსკის დახასიათება გაადვილებოდათ, თუმცა მასა და მის ცხოვრებაზე ყველაზე უკეთ ალბათ მაინც მისი ხელოვნება საუბრობს.

*"24 საათი"*

# Rope Bridge - STUMARI

("ნეო - ფოლკის" სერიოზული განაცხადი)

სამსონ ლეჟავა




ჯგუფ "სტუმარის" შემოქმედებას კარგად ვიცნობ და რამდენიმე წელია, ინტერესით ვაკვირდები მათ მოღვაწეობას. როგორც იქნა, ჯგუფის საავტორო სტუდიაში გამოიცა პირველი დისკი, რომელიც "ნეო–ფოლკის" ნაკადში სერიოზულ განაცხადად მიმაჩნია. ჯგუფს თანადგომა გაუწია კომპანია "მი-ფა-სი"-მ. მასტერინგი ეკუთვნის რაფაელ კროპასს, ხოლო დიზაინი – ნიკუშა ჩხაიძეს.

ნინო და მამუ ჯანჯღავები, დავით ხოსიტაშვილი – ესაა საოჯახო ჯგუფის ბირთვი, რომელთაც შეუერთდა პერკუსიონისტი გურამ მაკალათია.

ნინო საკმაოდ ცნობილი კომპოზიტორია, სულხან ცინცაძის მოწაფე. იგი წარდგა ჩვენს წინაშე როგორც ვოკალისტი, ფლეიტისტი და კლავიშებიან საკრავებზე შემსრულებელი. მამუ ჯანჯღავა მევიოლინედ და ვოკალისტად წარმოჩინდა. რაც შეეხება დავით ხოსიტაშვილს, იგი არაორდინარულად შემოქმედებითი გიტარისტია, რომელიც სალამურსა და სტვირზეც ასრულებს დისკის საერთო კონცეფციაში კარგად ჩაქსოვილ პარტიებს.

როგორც ვიცი, კრებულში შესული ათივე კომპოზიცია საავტოროა.

ჯგუფის დამოკიდებულების სიღრმე ქართული სამუსიკო ფოლკლორისადმი ყოველმხრივ თანადგომას იმსახურებს. სამწუხაროდ, ძალიან ცოტას თუ ესმის თანამედროვე ენაზე ხალხური მელოსის არაიმიტაციური გაცოცხლების მნიშვნელოვანება. არანაკლებ საინტერესოა, რომ ამ გზაზე იშლება ძალზე მრავალგვარი შესაძლებლობები.

შევეცდები მოკლედ დავახასიათო ყოველი ნაწარმოები იმ თანმიმდევრობით, როგორც თავად ჯგუფმა შემოგვთავაზა.

პირველი კომპოზიცია "დასალოცი" ერთგვარად ჭვრეტითია. დამაჯერებელ კონტექსტს ქმნის არქაული რიტუალური ტექსტი. საგულისხმოა ვიოლინოსა და გიტარის დიალოგიც. აქ მომგებიანია ქართული ჟღერადობის მქონე სამხმოვანების ჩართვა. "ჩიორა", რომელიც სულხან ცინცაძეს მიეძღვნა, საუკეთესოთაგანია მთელ გამოცემაში ლირიზმით, მელოდიურობით, ასევე გიტარის მეტყველი ჩანართებით. უფრო ექსპრესიულია "ღვთის ბრძანებით", რომელშიც მუსიკალურ თემათა გაშლა მართლაც ეფექტურია. არანაკლებ საინტერესოა "ხასანბეგურა" – აქ კლასიკური გიტარის რეპერტუარიდან მომდინარე დახვეწილი იმპროვიზაცია ადგილს უთმობს რიტმულად გამძაფრებულ "აჩქარებას", რითაც ემოციური კონტრასტი ყალიბდება. დასამახსოვრებელია სტვირის უეცარი "შემოჭრაც". ძალიან სიმპათიური ქმნილებაა "ზღარბუნები": მდიდრული და თანაც მსუბუქია ვიოლინოს პარტია. განწყობა ერთგვარად ზღაპრისეულიც ჩანს. საკვანძო ნაწარმოებად ვთვლი "ხორუმს" – გიტარის შესაძლებლობათა სარწმუნო გახსნა, ესპანური მუსიკალური სამყაროს თავისებური და მოულოდნელი შეხვედრა ფუძემდებლურთან, ქართულთან - დამახასიათებელია ამ თავისებურ ექსპერიმენტში. რამდენადმე მისტიკურობისკენ მიდრეკილია "ნანა", რომელსაც ერთი ან ორი მოსმენით ვერ ამოიცნობ. "შუქურვარსკვლავოში" გარკვეულწილად ჩანს პატივმიგება ჯანსუღ კახიძის შემოქმედებისადმი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართული სასიმღერო კულტურის ახლებურ გახსნას. დაფიქრებულ ჩაწვდომას ითხოვს "ბეწვის ხიდი", რამდენადმე იდუმალი, თითქოს შორიდან ისმის...

დისკის დამაგვირგვინებელი, ერთგვარად შემკვრელი "ოდოია" საუკეთესო ნაწარმოებად მიმაჩნია - ცოცხალი დინამიკითაც, ჰარმონიათა გამომხატველობითაც, დასარტყამი პარტიის ენერგეტიკული მუხტითაც, მიზანსწრაფულობითაც...

ყველას ვურჩევ შეიძინოს ჯგუფ "სტუმარის" სადად და მოკრძალებულად გაფორმებული, ახალი მუსიკალური იდეებით აღვსილი კომპაქტ-დისკი.







ყურადღება!
რესტორანი
"დაკარგული სამოთხე''
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207